ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

## ანგელა მერკელის ეკონომიკური რჩევები საქართველოს მთავრობას

გვ.6



შაბათი – კვირა, 25 – 26 აგვისტო, 2018 №201(7746) ფასი: 60 თეთრი

# „მაინც დავამტკიცებ, რომ სააკაშვილი ადამიანების ორგანოებით ვაჭრობდა“



ტრისტან წითელაშვილს 2 ლეპტოპი და 1 კომპიუტერი მოჰპარეს

გვ.2





გვ.6

## კახა მიქაია: „ყველაზე კარგი საპრეზიდენტო კანდიდატი ასწლოვანი ხე იქნება“

## პაატა ზაქარეიშვილი: „მაპი უნდა იყოს ჩვენი ამოსავალი წერტილი“

გვ.3



## „არ მგონია, პრეზიდენტი ვინმეს შეეშინებინა“



გვ.3




რატომ თქვა მარგველაშვილმა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატის დასახელებაზე უარი

## „ბაქო-თბილისი ჯეიჰანის პროექტიდან წელიწადში 2,2 მილიარდ დოლარს უნდა ვიღებდეთ“

გვ.5

მირიან მირიანაშვილი: „ენერგომატარებლების საქართველოზე გატარებით მიღებული მოგებით მარტო სხვა სახელმწიფოებმა არ უნდა იხეირონ“



## სამართალი

გვ.7

ესპანეთში ძარცვაში ექვმიტანილი საქართველოს 3 მოქალაქე დააკავეს




„ქურდებმა მხოლოდ კარის ჩამსხვრევა მოასწრეს“ – „ზუმერის“ მაღაზიის გაქურდვის მცდელობა თბილისში



ბათუმის პორტში 13154,4 ლარის ღირებულების არადეკლარირებული ტვირთი აღმოაჩინეს




## ეკონომიკა

გვ.6

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
GEORGIAN NATIONAL COMMUNICATIONS COMMISSION

კომისიამ „სამოქალაქო აქტივების ცენტრის“ საჩივრის საფუძველზე „მიკრონეტი“ გააფრთხილა



რა ღირს სტუდენტებისთვის ბინის დაქირავება თბილისში



ეროვნული ბანკი: „ჩვენ უფრო უარყოფით შედეგს ვპროგნოზირებდით“

ISSN 1987-9385

2 სამი მნიშვნელოვანი საკითხი მერკელის გზავნილებიდან

4 გიორგი გაჩეჩილაძე: „პუტინთან შეხვედრის შემდეგ, მერკელის საქართველოში ჩამოსვლა ძალიან მნიშვნელოვანია

3 რაულ ხაჯიმბა: „ჩვენ ომი გადავიტანეთ და არ გვსურს ეს განმეორდეს, თუმცა, თუ სხვა შანსი არ დაგვიტოვეს, თავდაცვის უფლება გვაქვს“

5 მინისქვეშა გაზსაცავის დასაფინანსებლად შეთანხმება გაფორმდა

# კახა მიქაია: „ყველაზე კარგი საპრეზიდენტო კანდიდატი ასწლოვანი ხე იქნება“

შორენა მარსაგიშვილი

**რა დაჯგუფებები შეიქმნა „ოცნებაში“, ვის და რატომ ეკაიფება ივანიშვილი, რომელ პარტიაში გადავლენ მმართველი გუნდიდან წასულები? — ამის შესახებ „ახალ თაობას“ „დაიცავი საქართველოს“ ლიდერი კახა მიქაია ესაუბრება.**

**კახა მიქაია:**

— დიდი დაპირისპირებაა „ოცნებაში“. მმართველი პარტია ნამდვილებად და მარადიულებად გაიყო. დიტო სამხარაძე ახლა გასცემს ასეთ ბრძანებას — „ქართული ოყნების“ ჯარისკაცებო, ნამდვილებიდან მარადიულებამდე ნაბიჯით იარ“.

***— მარადიულები ვინ არიან ან ნამდვილები?***

— აქამდე „ოცნება“ ასე იყო გაყოფილი — ნამდვილები და მოსულები. ახლა მარადიულები გამოეყვნენ ამ ნამდვილებს. ნამდვილები და მარადიულები ერთმანეთს უკვე დედებს აგინებენ.

დიტო სამხარაძე გახლავთ მარადიულების მთავარსარდალი. მე მას დიტრიხ სამხარაძე შევარქვი. ისე, თავად ეს პიროვნება მარადიული ჯერ არ არის, მაგრამ მომხრეებთან ერთად მარადიულებისკენ მიისწრაფვის.

***— ნამდვილებისა და მარადიულების ვინაობას რატომ არ ასახელებთ? რამდენიმე გვარი მაინც გვითხარით.***

— ამ ეტაპზე თავს შევიკავებ. შედით სოციალურ ქსელებში, ჩამოუარეთ ქოცების გვერდებს და ნახავთ, რა განსხვავებაა ნამდვილებსა და მარადიულებს შორის.

„ქართული ოყნების“ ჯარისკაცები მარაზმში გადავიდნენ. ის, რაც ახლა ხდება, არის მარაზმი.

***— ეს ყველაფერი ბიძინას მეორედ მოსვლის შემდეგ დაიწყო თუ მანამდეც იყო ნიშნები?***

— პროცესი ბიძინა ივანიშვილის მეორედ მოსვლის შემდეგ დაიწყო. წინაპირობა მანამდეც იქნებოდა, მაგრამ პროცესი მეორედ მოსვლის შემდეგ დაიწყო.

***— რამდენიმე თვის წინ თქვენ ჩვენთან საუბარში თქვით, რომ ივანიშვილი „ოცნებას“ ეკაიფება. ეს ამ კაიფის შედეგია?***

— რა თქმა უნდა ეკაიფება. „ოცნებაში“ მიმდინარე პროცესებს თუ შევხედავთ, ეს არის აშკარად კაიფი. ივანიშვილი ამათ ეკაიფება. ასეთებს უნდა ეკაიფო, მაგათზე კაიფი ალალია.

ბიძინამ შეგნებულად შემოიკრიბა ასეთი ადამიანები გარშემო, რომ ეკაიფოს. ყველაფერი იმით დასრულდება, რომ ივანიშვილი ამათ პოლიტიკურ სანაგვეზე მოისვრის. ის იძულებული გახდება, ასე მოიქცეს.

***— „ოცნებაში“ ისეთი ოხრები არიან, შეიძლება, იქით მოისროლონ ბიძინა პოლიტიკურ სანაგვეზე.***

— მარადიულები და ნამდვილები კი მოისვრიდნენ ივანიშვილს პოლიტიკურ სანაგვეზე, მაგრამ თავად სად წავლენ? „ქართული ოყნების“ ჯარისკაცებს არავინ მიიღებს.

***— ბოროტი ხმები ამბობენ, რომ „ოცნება“ და „ევროპული საქართველო“ ჩაეხუტნენ და ამ პარტიაში არ მიიღებენ?***

— „ევროპულ საქართველოში“ ამათი ადგილი არ არის. გიგა ბოკერია ნამდვილებსა და მარადიულებს არ ჩაეხუტება. არის ერთი პარტია, სადაც „ოყნების“ ჯარისკაცებს მიიღებენ.

***— რომელ პარტიაში?***

— ჯერ არ დავასახელებ. მერე ამაზეც იკაიფებს ივანიშვილი.

***— ივანიშვილი მარტო მეოცნეებებს კი არა, მთელ საქართველოს ეკაიფება.***

— ასეა. ყველაზე კაიფობს. თან ისე კაიფობს, მეშინია, პოლიტიკურ კაიფში არ გაიპაროს. და რადგან კაიფობს ეს ადამიანი, ბარემ ბოლომდე იკაიფოს და პრეზიდენტობის კანდიდატად ხე დაასახელოს.

მის პარკში ბევრი ასწლოვანი ხეა და რომელიმე მათგანი შეარჩიოს. შეიძლება ამაზე პრაიმერის ჩატარებაც. კალიგულამ თუ ცხენი შეიყვანა სენატში, ბიძინა მაგაზე რითია ნაკლები, რომ პრეზიდენტის სასახლეში ერთი ხე შეიტანოს?!

ამით მთელი საქართველო კმაყოფილი იქნება. ხე არც ბიუჯეტის ფულს შეჭამს და პრეზიდენტის სასახლეც დამშვენდება. ივანიშვილი კი ისტორიაში შევა.



# „მაინც დავამტკიცებ, რომ სააკაშვილი ადამიანების ორგანოებით ვაჭრობდა“

## ტრისტან წითელაშვილს 2 ლეპტოპი და 1 კომპიუტერი მოჰპარეს

შორენა მარსაგიშვილი

**სამხედრო ექსპერტი ტრისტან წითელაშვილი ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს ბინის გაძარცვაში ადანაშაულებს. მისი მტკიცებით, მძარცველებმა მას სკანდალური მასალები მოჰპარეს.**

რა საიდუმლო მასალებს ინახავდა სახლში, რა უნდა გამოემზეურებინა მომავალ კვირაში, რა დოკუმენტები მიაწოდეს უკრაინიდან, რაზე უთანხმდებოდა ადეიშვილი სააკაშვილს? — ამ თემებზე „ახალ თაობას“ ტრისტან წითელაშვილი ესაუბრება.

**ტრისტან წითელაშვილი:**

— რამდენიმე დღე მე და ჩემი ოჯახის წევრები ქალაქიდან ვიყავით გასული. თბილისში 23 აგვისტოს დავბრუნდი და აღმოვაჩინე, რომ ჩემი სახლი იყო გაძარცვული. ადგილზე გამოვიძახე პოლიცია, დაწყებულია გამოძიება.

გამოძიების დასრულებამდე შემიძლია თამამად გითხრათ, რომ ეს იყო ძარცვა პოლიტიკური ნიშნით.

***— რატომ ფიქრობთ, რომ ეს ძარცვა პოლიტიკური ხასიათის იყო?***

— ახლავე მოგახსენებთ. მართალია, ჩემს სახლში შევიდნენ ქურდები, მაგრამ ძვირფასი ნივთები და ფული არ წაუღიათ. მათ ჩემი სამუშაო კაბინეტიდან წაიღეს 2 ლეპტოპი და 1 კომპიუტერი, სადაც მე ვინახავდი სკანდალურ მასალებს. ამ მასალების დიდი ნაწილი გამომზეურებული მქონდა. ნაწილს დღის სინათლე ახლო მომავალში უნდა ენახა.




ჩემ მიერ გამომზეურებული დოკუმენტები სააკაშვილსა და მისი რეჟიმის წარმომადგენლებს სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა. დარწმუნებული ვარ, ჩემი სახლიდან კომპიუტერი და ლეპტოპები მათი დავალებით წაიღეს.

ჩემს ხელთ არსებული მასალები 2 ლეპტოპსა და 1 კომპიუტერში მქონდა გადანაწილებული. ლეპტოპებს თან არასდროს ვატარებდი.

***— რატომ არ ატარებდით?***

— ვიცი, რომ სააკაშვილის გარემოცვას ამ მასალების ხელში ჩაგდება უნდოდა. ვვარაუდობდი, რომ დამხვდებოდნენ და შეეცდებოდნენ, ლეპტოპი წაერთმიათ. იმას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, თუ სახლში შემოძვრებოდნენ.

ადგილზე მყოფმა გამომძიებლებმაც მითხრეს, რომ ქურდი კონკრეტულად ამ ნივთებისთვის იყო შემოსული. სამუშაო მაგიდაზე, გამოსაჩენ ადგილას ფულიც მედო, მაგრამ მისთვის ხელი არავის უხლია.

***— რა ოდენობის თანხა გედოთ მაგიდაზე?***

— დაახლოებით 300 ლარი. არც ეს ფულია წაღებული და არც სხვა ნივთები. ამიტომაც ვამბობ, რომ ეს ძარცვა პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა.

სამართალდამცავებმა რაღაც კვალს მიაგნეს. ქურდი სახლის უკანა მხრიდან, ფანჯრიდან გადმოძვრა, მაგრამ მან დატოვა ფეხსაცმლის ნაკვალევი. ექსპერტებმა თითების ანაბეჭდებიც იპოვეს.

***— გამოდის, რომ თქვენ სკანდალური მასალების გარეშე დარჩით. რას აპირებთ, თავიდან დაიწყებთ შეგროვებას?***

— თავიდან შეგროვება არაფერში მჭირდება. ეს მასალები კიდევ მაქვს და მათ გამოქვეყნებას გავაგრძელებ.

***— სად ინახავთ ამ მასალებს?***

— საიდუმლო ადგილას. ამის შესახებ მხოლოდ მე ვიცი. მასალები ისევ ჩემთანაა და მომავალ კვირას ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციას გავასაჯაროებ. ამ მასალების გასაჯაროება რამდენიმე დღის წინ დავაანონსე. ქურდები სწორედ ამიტომ გააგზავნეს ჩემს სახლში.

***— ამისთანა რა უნდა გამოგექვეყნებინათ, რომ სახლში ქურდები გამოგიგზავნეს?***

— ქალაქიდან გასვლის წინა დღეს ტელევიზიით ვთქვი, რომ სააკაშვილის მამხილებელი დოკუმენტების გამოქვეყნებას ვაპირებდი. დავასახელე დრო, როცა უნდა მომხდარიყო მათი გასაჯაროება.

ცოტა ხნის წინ ჩემმა უკრაინელმა მეგობრებმა გამომიგზავნეს მასალები, საიდანაც დგინდება, რომ სააკაშვილი ადამიანის ორგანოებით ვაჭრობდა.

***— აქამდე ამბობდნენ, რომ მისი მეუღლე ვაჭრობდა ადამიანების ორგანოებით, მაგრამ ოფიციალურად ეს ვერავინ დაამტკიცა.***

— ახლა დამტკიცდება ეს ამბავი. უკრაინელმა კოლეგებმა გამომიგზავნეს სააკაშვილისა და ადეიშვილის საუბრის ჩანაწერი.

***— ადეიშვილი რა შუაშია?***

— ეგეც მონაწილეობს ამ საქმეში. ამ ჩანაწერში სააკაშვილი და ადეიშვილი საუბრობენ აბდულაზე.

***— აბდულა ვინ ოხერია?***

— იმ საავადმყოფოს ხელმძღვანელია, სადაც ადამიანებს ორგანოებს აცლიდნენ.

***— სად არის ეს საავადმყოფო?***

— ეს საავადმყოფო იყო სირიაში. ერთ-ერთი ქალაქი როცა გაათავისუფლეს ისლამური სახელმწიფოსგან, იქ აღმოაჩინეს საავადმყოფო, სადაც ადამიანებს ორგანოებს აცლიდნენ. იმ საუბარში, რომელსაც მე მომავალ კვირას გავასაჯაროებ, სააკაშვილი და ადეიშვილი საინტერესო რამეზე საუბრობენ. ადეიშვილი ეუბნება მიშას, ამერიკელებს უთხარი, რომ რუსებმა აბდულა გაათავისუფლონო. მიშა პასუხობს, ხომ იცი, მანდ სანდრაც არისო.

უკრაინელმა კოლეგებმა ასევე გამომიგზავნეს ფოტოები, საიდანაც ჩანს, რომ მიშა უკრაინაშიც ამ საქმით იყო დაკავებული. ამ ყველაფერს გამოვაქვეყნებ და დავამტკიცებ, რომ სააკაშვილი ადამიანის ორგანოებით ვაჭრობდა.

# 3 მნიშვნელოვანი საკითხი მერკელის გზავნილებიდან

გერმანიის კანცლერის საქართველოში ვიზიტის ფარგლებში ანალიტიკოსი ბიძინა ლებანიძე 3 საკითხს გამოყოფს, რომლის შესახებაც ანგელა მერკელმა თბილისში ისაუბრა: სამუშაო კვოტები, თანამშრომლობა ბიზნესს შორის და პოლიტიკური მხარდაჭერა.

როგორც მან „ნეტგაზეთთან“ საუბარში განაცხადა, საქართველოსა და ბალკანეთის ერთ კონტექსტში მოხსენიება, განსაკუთრებით სამუშაო კვოტების გამოყოფის საკითხში, მნიშვნელოვანია.

— გერმანიას უკვე აქვს მსგავსი რეგულაციები ბალკანეთის ქვეყნებთან და კარგი იქნება, თუ საქართველოშიც დანერგავენ იგივეს, რომ საქართველოს მოქალაქეებს გარკვეული დროით გერმანიაში ლეგალური მუშაობა შეეძლოთ.

რაც შეეხება საქართველოთი გერმანული ბიზნესის დაინტერესებას, ანალიტიკოსი ამბობს:

— რამდენადაც ვიცი, მერკელს ბევრი მსხვილი კორპორაციის ხელმძღვანელი ჩამოჰყვა, მათ შორის გერმანიის რკინიგზის, რომელიც ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში თავის სფეროში. გერმანელები ინვესტიციების მხრივ საქართველოში ბოლო დრომდე ძალიან ფრთხილობდნენ, მას შემდეგ, რაც ნაციონალური მოძრაობის დროს გერმანულ „ტაკომს“ თბილისის აეროპორტის ტენდერი უსამართლოდ წაართვეს. თუკი გერმანული ინვესტიციები გაიზრდება, ეს დაასტაბილურებს ქართულ საინვესტიციო ბაზარს და შეიძლება ევროკავშირის სხვა ქვეყნებიდანაც მეტი ინვესტიცია მოჰყვეს, — ამბობს ანალიტიკოსი.

მისივე თქმით, კანცლერის მხრიდან მნიშვნელოვანია პოლიტიკური მხარდაჭერის დადასტურება, რაც „სიახლე არ არის, მაგრამ დროდადრო ევროპის წამყვანი ლიდერებისგან ამის გაგონება მაინც სასიამოვნოა, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, როცა საქართველოს აქტუალობამ საერთაშორისო არენაზე მნიშვნელოვნად დაიკლო“.

ევროკავშირში გაწევრიანების თვალსაზრისით მერკელმა განაცხადა, რომ ის საქართველოს ევროპულ ამბიციებს მხარს უჭერს, „მაგრამ ნაჩქარევ დაპირებებს ვერ გასცემს“.

— იცით, რომ პერსპექტივაში გვყავს ბალკანეთის ქვეყნები, საქართველო და უკრაინა იქნება შემდეგი რგოლი. ჯერჯერობით არა არის საუბარი გაწევრიანებაზე, ეტაპობრივად უნდა მივიდეთ აქამდე, რომ ამაზე საუბრები დავიწყოთ, — განაცხადა კანცლერმა.

ბიძინა ლებანიძე ფიქრობს, რომ ამ კუთხით მერკელს რეალურად ახალი არაფერი უთქვამს.

— ეს არის ევროკავშირის ყველასთვის ცნობილი პოზიცია, რომ ამ ეტაპზე გაფართოე-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „არ მგონია, პრეზიდენტი ვინმეს შეეშინებინა“

## რატომ თქვა მარგველაშვილმა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატის დასახელებაზე უარი

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე და კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან" ინტერვიუში გიორგი მარგველაშვილის იმ გადაწყვეტილებაზე საუბრობენ, რომლის მიხედვითაც, პრეზიდენტმა უარი თქვა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელებაზე.**

***— ბატონო რამაზ, პრეზიდენტმა რატომ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება?***

— ამ პროცესს იმთავითვე ახლდა სირთულეები. ისე, პრეზიდენტის მხრიდან თავის არიდების სტრატეგიას უფრო ვხედავ. ალბათ არ უნდა, რომ უკვე მეორედ დასდოს ბრალი საპარლამენტო უმრავლესობამ, რომ მის მიერ არჩეული კანდიდატი ვერ ართმევს თავს და ა.შ.

***— პრეზიდენტმა პასუხისმგებლობა აირიდა?***

— შეიძლება თავად არ აქვს გადაწყვეტილება მიღებული და ვერავის ანდობს. პირიქით, ამ შემთხვევაში ზედმეტი პასუხისმგებლობითაც კი შეიძლება ეს აიხსნას მისი მხრიდან.

***— პოლიტიკის ნაწილი გახდა ეს ყველაფერი?***

— რასაკვირველია. ნინო გვენეტაძე გადადგა თუ არა, ეს უკვე იყო პოლიტიკა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მოვისმინეთ ოფიციალური განმარტება, რომ მიზეზი მხოლოდ ჯანმრთელობა იყო და სხვა არაფერი, ცხადია, ადამიანებმა იმთავითვე ალტერნატიული ვერსიების ძიება დაიწყეს, ეს უკვე პოლიტიკის ნაწილია.

***— გიორგი მარგველაშვილს ეს გადაწყვეტილება, როდესაც მან უარი თქვა კონსტიტუციური უფლებამოსილების შესრულებაზე, როგორ ჩაეწერება კარიერაში?***

— ამ კითხვაზე ასე გიპასუხებთ: როდესაც საქართველოს მოსახლეობის 40%-ზე მეტი უარს ამბობს თავის მოქალაქეობრივ ვალდებულებაზე, რადგან ვერ გადაუწყვეტია, ვის მისცეს თავისი ხმა, ეს არის უპასუხისმგებლობა?! ამ შემთხვევაშიც მე ბრალს ვერ დავდებ პრეზიდენტ მარგველაშვილს, შეიძლება ძალიან რთულია გადაწყვეტილების მიღება,





ჩვენ არ ვიცით, შიგნით რა პროცესები იყო. ადამიანურად მე მისი მესმის და აბსოლუტურად გასაგებია. მან უარი თქვა, როგორც იტყვიან, „არიოლ და რეშკას“ აგდებაზე და ასეთი ფორმით გადაწყვეტილების მიღებაზე. როგორც ჩანს, რაციონალური გადაწყვეტილების საფუძველი არ ჰქონდა.

***— გამორიცხავთ, რომ პრეზიდენტზე გარკვეული ზეწოლა ყოფილიყო გარკვეული ჯგუფების მხრიდან? როგორც ამბობენ, სასამართლო სისტემას მურუსიძე-ჩინჩალაძის კლანი მართავს.***

— არ მგონია, ვინმეს ზეწოლას პრეზიდენტი შეეშინებინა და ამიტომ მიეღო ეს გადაწყვეტილება. პრეზიდენტი ყველაზე გავლენიან ადამიანს, ბიძინა ივანიშვილს, დაუპირისპირდა და მისი ნების საწინააღმდეგო ნაბიჯი გადადგა. მას ანგარიში არ გაუწევია იმისთვის, რომ პრეზიდენტის რეზიდენციაში შესულიყო იმის ფასად, რაც მის ამ ნაბიჯს მოჰყვა. მას ასეთი ხასიათი აქვს. ამიტომ, არ მგონია ახლა მურუსიძე-ჩინჩალაძისგან მიეღო რაიმე დირექტივები და ამიტომაც მიეღო ეს გადაწყვეტილება. რაიმე ტიპის ზეწოლა რომ ყოფილიყო, პირიქით, გაბრაზებული უფრო გააქტიურდებოდა. ამას ვამბობ გიორგი მარგველაშვილის ხასიათიდან გამომდინარე.

***— შეიძლება ეს გადაწყვეტილება ერთგვარი გზავნილი იყოს, რომ პრეზიდენტი მეორე ვადით კენჭისყრაზე უარს ამბობს და კარიერას ასრულებს?***

— ლოგიკური კითხვაა. გეთანხმებით. პოლიტიკაში დარჩენის მსურველი, მით უფრო მეორე ვადით კენჭისყრის მსურველი, ბევრად უფრო აქტიურ ნაბიჯებს გადადგამდა. სავარაუდოა, რომ დღეს ის გულგრილი არის მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებისადმი. თუმცა, პოლიტიკაში ბოლომდე გამორიცხვა არაფრის არ შეიძლება. ვნახოთ, შეიძლება განწყობა შეეცვალოს.

* * *

**კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი:**

— ჩემთვის, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქისთვის, პრეზიდენტის ეს გადაწყვეტილება არ არის სწორი გადაწყვეტილება. ეს არ არის სახელმწიფოებრივი მიდგომა. ის პროცესი, რომელიც პრეზიდენტმა მარგველაშვილმა დაიწყო, ბოლომდე უნდა მიეყვანა. მან უარი თქვა თავის კონსტიტუციური უფლებამოსილების განხორციელებაზე, რაც დაუშვებელია, ეს უფლება მას აკისრია და სწორედ მან უნდა შეასრულოს.

სხვა ამ ქვეყანაში პრეზიდენტის როლს ვერ მოირგებს და ვერ შეასრულებს. პრეზიდენტის უფლებამოსილება არ არის კერძო არჩევანი, ეს მისი ვალდებულებაა! ერთმა არჩევანმა ვერ გაამართლა, სხვა არჩევანი გაეკეთებინა ან თავად აეღო პასუხისმგებლობა და მოენახა გადაწყვეტა.

***— ეს გახდა პოლიტიკური პროცესი და პრეზიდენტი ჩიხში შევიდა?***

— ჩემთვის ეს ნამდვილად არ იყო პოლიტიკური პროცესი. ეს არის პროცესი, რომელზეც ჩვენი ქვეყნის მართლმსაჯულების სისტემის გაჯანსაღების საკითხია დამოკიდებული.

# რაულ ხაჯიმბა: „ჩვენ ომი გადავიტანეთ და არ გვსურს ეს განმეორდეს, თუმცა, თუ სხვა შანსი არ დაგვიტოვეს, თავდაცვის უფლება გვაქვს“



— ჩვენ ომი გადავიტანეთ და არ გვსურს ეს განმეორდეს, თუმცა, თუ სხვა შანსი არ დაგვიტოვეს, თავდაცვის უფლება გვაქვს. აფხაზეთი რუსეთთან უსაფრთხოების ერთიანი კონტურის ფორმირებას აგრძელებს და მცირერიცხოვან, მაგრამ მობილურ ჯარს ქმნის, — ამის შესახებ „ტასთან“ ინტერვიუში ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ განაცხადა.

— მიმდინარეობს რუსეთთან უსაფრთხოების ერთიანი კონტურის ფორმირება — ეს ჩვენი უსაფრთხოების გარანტიაა. ტარდება შესაბამისი ღონისძიებები — რამდენიმე დღის წინ დასრულდა მორიგი რუსულ-აფხაზური სამხედრო წვრთნები, რაც ქვეყნის თავდაცვითუნარიანობის გაძლიერებისთვის არის საჭირო. მიმდინარეობს აფხაზური ჯარის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და მისი ახალი შეიარაღებით აღჭურვის საკითხების მოგვარება, — განაცხადა ხაჯიმბამ.

მისი თქმით, „აფხაზური ჯარი უნდა იყოს მცირერიცხოვანი, თუმცა საკმარისად ოპერატიული და მობილური“.

საქართველოში ჩატარებული ნატო-ს წვრთნების შესახებ კითხვაზე ხაჯიმბამ განაცხადა, რომ „ნებისმიერი სახელმწიფო, ძლიერიც კი, შეწუხებული იქნება იმით, რომ მის საზღვრებთან ასეთი სახის წვრთნები იმართება“.

— ჩვენ ომი გადავიტანეთ და არ გვსურს, რომ ეს განმეორდეს. არ გვსურს, რომ ჩვენმა ხალხმა და ქართველებმაც ისევ გაიარონ ეს რთული პროცესები, თუმცა, თუ ჩვენ სხვა შანსი არ დაგვიტოვეს, ჩვენ გვაქვს თავდაცვის უფლება, — აღნიშნა დე ფაქტო პრეზიდენტმა.

# პაატა ზაქარეიშვილი: „მაპი უნდა იყოს ჩვენი ამოსავალი წერტილი“

ნონა ცაბაძე



**გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელის საქართველოში ვიზიტს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ყოფილი სახელმწიფო მინისტრი, კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი აფასებს.**

***— ბატონო პაატა, რამდენად მნიშვნელოვანი ვიზიტია და რა მისიით იმყოფებოდა მერკელი საქართველოში?***

— ვიზიტი ნებისმიერ შემთხვევაში მნიშვნელოვანია. ორი აზრი არ არსებობს ამაში, მაგრამ ჩვენ გვიყვარს ხოლმე გადამეტება რაღაც მოვლენების და მერე გული გვწყდება, დრო გადის და თითქოს ის შედეგები არ დგება, რასაც ველოდით. ვიზიტი არის კავკასიაში და არა საქართველოში, ამის ხაზგასმა ძალიან მნიშვნელოვანია. ვიზიტი კავკასიაში და თანაც იქ სადაც ორ ქვეყანას შორის დღემდე არის საომარი მოქმედებები, სომხეთსა და აზერბაიჯანში. ამას თავისთავად არსებითი მნიშვნელობა აქვს.

***— მარტო საქართველოში რომ ყოფილიყო, ამას სხვა დატვირთვა ექნებოდა?***

— მარტო საქართველოში რომ ყოფილიყო ვიზიტი, ეს უფრო გამოკვეთილი და გაცილებით მნიშვნელოვანი იქნებოდა. ვიზიტი ძალიან კარგია, მაგრამ არსებითად არაფერი შეიცვლება. სტატიაც კი დაიბეჭდა, საქართველო უფრო უყვარს მერკელს თუ რუსეთიო? სასაცილოა ეს ყველაფერი. მერკელს უყვარს გერმანია, მორჩა და გათავდა!

***— კავკასიაში ვიზიტს წინ უძღოდა შეხვედრა პუტინთან.***

— კავკასიაში ვიზიტი დაგეგმილი იყო დიდი ხნით ადრე, ჯერ კიდევ კვირიკაშვილის დროს და ისიც ლაპარაკობდა ამ ვიზიტის მნიშვნელობაზე. პუტინთან შეხვედრა კი დაიგეგმა მოულოდნელად.

***— ამით რის თქმა გინდათ?***

— აშკარად ჩანდა, როცა მოვიდა გეგმური ჩასვლის დრო კავკასიაში, იმ დროისთვის შემონახული ჰქონდა პუტინთან შეხვედრა. რატომ შემონახული? იმიტომ, რომ შეუძლებელია პუტინის მოქმედებების განსაზღვრა, ამიტომ როცა მოვიდოდა დრო მერკელის კავკასიაში ჩამოსვლისა, სწორედ მაშინ იყო საჭირო იმდროინდელ მოსკოვთან შეხვედრა, რათა გაერკვიათ, რა ვითარებაა დღეს რუსეთის დამოკიდებულებაში კავკასიასთან. ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. მერკელს სჭირდება გერმანიის ინტერესების დაცვა. მერკელს სჭირდება ევროკავშირის ინტერესების დაცვა.

***— ასევე მათ სჭირდებათ რუსეთთან კარგი ურთიერთობები?***

— რა თქმა უნდა, სჭირდებათ, მაგრამ უფრო ეშინიათ!

***— გაზისა და ნავთობის გამო?***

— რა თქმა უნდა და ვისიც გეშინია, იმას ანგარიშს უწევ. პუტინთან შეხვედრა იყო მნიშვნელოვანი. იქ ილაპარაკებდნენ საქართველოს შესახებ, უკრაინაზეც ილაპარაკებდნენ, გაზზეც, აბსოლუტურად ყველაფერზე.

მან პუტინთან მოაგვარა ურთიერთობა ჩრდილოეთ მიმართულებაზე გაზისა, იქ დაალაგა სიტუაცია, რომ უკრაინას არ დააზარალებდა ეს შემოვლითი გაზსადენი. ახლა ჩამოვიდა, აზერბაიჯანის გაზი რომ მიიღოს, რათა მეტად იყოს დაცული გერმანიის და ევროკავშირის ენერგოუსაფრთხოება. ეს არის გერმანიის მთავარი ამოცანა.

***— საქართველო რას იხეირებს ამ ყველაფრისგან?***

— თუ საქართველოს ტერიტორიაზე გავა ეს გაზსადენი გარანტირებულად, საქართველო უზრუნველყოფილი იქნება გაზითა და ენერგეტიკით. ჩვენ გაზს გავატარებთ და აქედან მივიღებთ გარკვეულ დივიდენდებს.

***— ეს ვიზიტი პოლიტიკურად არაფერს ცვლის?***

— ვინმეს ჰგონია, რომ ამ ვიზიტით კონფლიქტები მოგვარდება?! არაფერიც არ მოგვარდება. მოგვარების გზები საქართველოს ხელშია. საქართველომ უნდა გაანძრიოს ხელი, ვერც ევროპა და ვერც მერკელი ამაში ვერ დაგვეხმარებიან. არავის არ მოსწონს რუსეთის მოქმედებები საქართველოში, ისევე, როგორც უკრაინაში, მაგრამ ამით არაფერი იცვლება. ეს ეკონომიკური სანქციები ამოქმედებულია რუსეთის წინააღმდეგ, პუტინი ამას არ იმჩნევს. რუსეთის ჯარების ყოფნა საქართველოსა და უკრაინის ტერიტორიაზე ათასჯერ უფრო მნიშვნელოვანია პუტინისთვის, ვიდრე ზარალი, რომელსაც ის იღებს ეკონომიკური სანქციებიდან.

***— მთავარი კითხვა, რაც დაისვა მერკელის მისამართით, იყო ნატო და ევროკავშირი, თუმცა მან დიპლომატიურად აუარა გვერდი პირდაპირ პასუხებს. თქვენ რა შთაბეჭდილებები დაგრჩათ?***

— ძალიან კარგად აიცილა მან ეს კითხვები, მნიშვნელოვანია ამ საკითხის წამოწევაც. ფაქტია, რომ გერმანია ჯერჯერობით ვერ ხედავს საქართველოს ნატოში, მით უმეტეს ევროკავშირში. ქართველები უნდა ჩამოვყალიბდეთ, რა გვინდა. უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ ჩვენთვის გაცილებით იოლია ნატოში გაწევრიანება, ვიდრე ევროკავშირში. ამიტომ პრიორიტეტები უნდა დავალაგოთ ძალიან მკაფიოდ. ზოგადად ნატოსა და ევროკავშირზე კი არ უნდა ვილაპარაკოთ, უნდა ვილაპარაკოთ კონკრეტულ ნაბიჯებზე.

***— რა ნაბიჯებს გულისხმობთ?***

— მაგალითად, 2020 წელს იქნება ნატოს სამიტი. ყოველ 10 წელიწადში ერთხელ ნატოში ტარდება სტრატეგიული შეხვედრები. წინა იყო 2010 წელს ლისაბონში. სწორედ 2020 წლისთვის უნდა მოვემზადოთ კარგად და ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ საქართველო მოხვდეს მათ შემდგომ ათწლიან გეგმაში, როგორც მაპის მიმღები სახელმწიფო! დროებით გვერდზე გადავდოთ სხვა ტერმინები და მაპი დავიმახსოვროთ. მაპი უნდა იყოს ჩვენი ამოსავალი წერტილი.

***— ანუ მაპის გარეშე არაფერი გამოვა? მაპზე უკეთესიც ხომ მივიღეთ, ესეც გვახსოვს.***

— ყოველი სამიტის წინ ვილაც გამოჩნდება, გვეტყვის, რომ მაპის გარეშე შეგვიშვებენ ნატოში, ყველანი აღტაცებული დავფრინავთ ჰაერში, ჩაივლის სამიტი და გვეტყვიან, რომ არავითარ შემთხვევაში, მაპის გარეშე არ იქნება ნატო. მთელი ჩვენი ენერგია დღეს უნდა გადავიტანოთ ნატოზე. ამ მიმართულებით უნდა დაიხარჯოს ჩვენი ენერგია. ვიფიქროთ მაპზე და შემდეგ ნატოზე.

***— მოგვცემენ მაპს?***

— მათ გაუჭირდებათ, ჩვენ გვითხრან მაპზე უარი. ნატოზე უარის თქმა უფრო იოლია მათთვის, მაპზე უარს ვერ გვეტყვიან. აი, ამაზე უნდა ვიმუშაოთ! ნატო ძალიან შორს არის, რა დროს ნატოა, გვესმის განცხადებები. აი, მაპი ძალიან ახლოს არის. 2020 წელი, სამიტი და მაპში გაწევრიანების აუცილებლობა. ვიმუშაოთ ამაზე და ძალიან გაუჭირდება როგორც გერმანიას, ისე სხვა ევროპულ სახელმწიფოებს, კონკრეტულ წინადადებებზე გვითხრან უარი.

ევროკავშირი უფრო რთული და შორეული თემაა, ამიტომ ჯერ ის ავიღოთ, რაც ასე ახლოს არის. მივიღოთ მაპი და მერე ვილაპარაკოთ უფრო რთულ და გრძელვადიან გეგმებზე.

# გიორგი გაჩეჩილაძე: „პუტინთან შეხვედრის შემდეგ, მერკელის საქართველოში ჩამოსვლა ძალიან მნიშვნელოვანია“

გულიკო ბალაძე

**პარლამენტის წევრი და მწვანეთა პარტიის ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე „ახალ თაობასთან“ გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელის ვიზიტის მნიშვნელობაზე, რუსეთთან დამოკიდებულებაზე და მათ ინტერესებზე საუბრობს. მისი განცხადებით, გარკვეული ინტერესებიდან გამომდინარე, რუსეთმა შეიძლება საქართველოში დესტაბილიზაციის მოწყობა სცადოს. ამიტომ მნიშვნელოვანია ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი არ შეიქმნას.**



***— ბატონო გიორგი, როგორ აფასებთ გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელის საქართველოში ვიზიტს?***

— ძალიან მნიშვნელოვანი ვიზიტი იყო. შეიძლება გადამწყვეტიც კი საქართველოს მომავალი პოლიტიკური ცხოვრებისთვის. მით უმეტეს, რომ ანგელა მერკელის ვიზიტი შედგა რუსეთის პრეზიდენტ პუტინთან შეხვედრის შემდეგ. მართალია ჩვენი მორუსო ოპოზიცია...

***— საქართველოში არსებულ მორუსო ოპოზიციაში ნაციონალებს გულისხმობთ?***

— აბა, ვის? ხომ იცით ჩემი აზრი ნაციონალებთან დაკავშირებით. ე.ი. ჩვენი მორუსო ოპოზიცია ნაციონალების სახით აცხადებდა, რომ პუტინთან შეხვედრის დროს მერკელს საქართველო, საერთოდ, არ უხსენებიაო, როგორც ჩანს, მერკელი-პუტინის შეხვედრაზეც იყო საქართველოზე საუბარი. ამიტომ, ბუნებრივია, პუტინთან შეხვედრის შემდეგ, მერკელის საქართველოში ჩამოსვლა ძალიან მნიშვნელოვანია.

***— კერძოდ, რას გულისხმობთ, რით არის მნიშვნელოვანი?***

— პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის ბოლო ინტერვიუდან გამოჩნდა, რომ მრავალ საკითხზე ისაუბრეს, მათ შორის, საქართველოს ნატოში გაწევრიანებასა და იმ გეოპოლიტიკურ საკითხებზე, რომელიც გააჩნია კანცლერს, მათ შორის, ენერგორესურსებთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, ამ საკითხზე პრემიერ-მინისტრმა და ქალბატონმა მერკელმა დახურულ შეხვედრაზე იმსჯელეს.

***— მერკელი არ მოდის წინააღმდეგობაში პუტინთან „ჩრდილოეთ ნაკადი-2-ის“ მშენებლობასთან დაკავშირებით. შთაბეჭდილება მექმნება, რომ სამხრეთ ნაკადის ენერგეტიკული პროექტი, რომელზეც, მგონი, ევროპა დიდ იმედებს ამყარებდა, საფრთხე ექმნება, ჩაშლის პირას უნდა იყოს.***

— არა, ამას მერკელის ჩამოსვლაც ადასტურებს. ღიად გაცხადდა, რომ გერმანიის „დოიჩე ბანკი“ საქართველოში გაზსაცავის მშენებლობას დააფინანსებს.

***— ეგ გასაგებია, მაგრამ ამ საკითხთან რა კავშირშია?***

— საქართველოში გაზსაცავის მშენებლობა ამ სისტემის შემადგენელი ნაწილია. ეს არის პირდაპირ იმაზე მინიშნება, რომ საქართველოს ენერგოდერეფანი, რომელიც პერსპექტივაში ევროკავშირს საშუალებას მისცემს, შუა აზიის რესურსები ევროპაში მოხვდეს. ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი ევროპისთვის და მისი წამყვანი ქვეყნის — გერმანიისთვის.

***— ახლახან კასპიის ზღვის ქვეყნებმა, მათ შორის, რუსეთმა ხელი მოაწერეს კონვენციას ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. აღნიშნული შეთანხმება ხელს არ შეუშლის შუა აზიისკენ ენერგეტიკული დერეფნის გაჭრას?***

— საქმე ისაა, რომ რუსეთი კატასტროფულადაა დამოკიდებული ენერგორესურსების ექსპორტზე, კერძოდ, ნავთობისა და გაზის გაყიდვაზე. 2017 წლის მონაცემებით, რუსეთის ფედერალური ბიუჯეტის შემოსავლებში ნავთობისა და გაზის ექსპორტის წილი 40% იყო. გაითვალისწინეთ ის, რომ ევროპამ შეერთებულმა შტატებმა რუსეთის წინააღმდეგ სანქციები რომ შემოიღო, ამ სანქციების ერთ-ერთი ნაწილი არის რუსეთისთვის ახალი ტექნოლოგიების არ მიწოდება, განსაკუთრებით, ნავთობისა და გაზის სფეროში.

ამან, ფაქტობრივად, რუსეთის ეკონომიკური ზრდა გააჩერა. ბოლო მონაცემებით, რუსეთში ეკონომიკა არ იზრდება. აქედან გამომდინარე, რუსეთისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ ევროპაში კრიტიკული გავლენის გაზრდის თვალსაზრისით, არამედ ეკონომიკური კატასტროფის, სოციალური ბუნტის თავიდან აცილების თვალსაზრისით, გაზისა და ნავთობის რესურსების გატანის გაზრდა, რათა რუსეთის ბიუჯეტმა შემოსავალი მიიღოს.

ამიტომ რუსეთის სტრატეგიული ამოცანაა „ჩრდილოეთ ნაკადი-2-ის“ მშენებლობა, რომლის საშუალებით შესაძლებელი იქნება 55 მილიარდი კუბური მეტრის გატარება წელიწადში. ეს მშენებლობა ბალტიის ზღვის გავლით უნდა განხორციელდეს. ეს ნავთობსადენი პირდაპირ რუსეთს დააკავშირებს გერმანიასთან. ბალტიის ზღვის გავლით პირდაპირ გერმანიას მიეწოდება,

55 მილიარდი კუბური მეტრი არის დღევანდელი ევროკავშირის მოთხოვნილების 10%-ზე მეტი. ამას დაუმატეთ ის, რომ ევროპას მოთხოვილების დაახლოებით მესამედს რუსეთი უკრაინისა და ბელორუსიის ტერიტორიის გავლით გაზსადენების საშუალებით ისედაც აწვდის. აქედან ჩანს, „ჩრდილოეთ ნაკადი-2-ის“ მშენებლობით რუსეთმა ევროპაში რამხელა გავლენა შეიძლება მოიპოვოს.

***— ამით ევროპის დამოუკიდებლობას საფრთხე ხომ ექმნება?***

— რა თქმა უნდა. მოგეხსენებათ, ევროკავშირის ძალიან ბევრი ქვეყანა წინააღმდეგია. მაგალითად, ბალტიის ზღვის ქვეყნების ნაწილმა „ჩრდილოეთ ნაკადი-2-ის“ მშენებლობას თანხმობა მისცა, მაგრამ ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყანა ამ გაზსადენის მშენებლობის წინააღმდეგია.

ამავე დროს აშშ-ის განცხადებით, იმ კომპანიებს, რომლებიც ამ გაზსადენის მშენებლობაში მონაწილეობას მიიღებენ, შეერთებული შტატები ამ კომპანიების წინააღმდეგ ეკონომიკურ სანქციებს შემოიღებს. ამიტომ „ჩრდილოეთ ნაკადი-2-ის მშენებლობის საკითხი, ჯერჯერობით, გაჩერებულია, რადგან ევროკავშირშიც პრობლემები არსებობს და აშშ-ც სანქციების შემოღებას აპირებს. თუმცა, გერმანიას ძალიან უნდა. გაზსადენის მშენებლობაზე რუსეთისთვის ნებართვაც მიცემული აქვს. გერმანიის პოზიცია გასაგებია — გერმანიას უნდა, ევროკავშირში გაზის გამანაწილებელ ცენტრალურ ქვეყანად გადაიქცეს. ამით კიდევ უფრო გაზარდოს ევროკავშირის ქვეყნებზე გერმანიის როლი და გავლენა.

თუმცა, არის პრობლემები. იმ სიტუაციაში, როდესაც ევროპის ქვეყნებს ბლოკირებული აქვთ რუსეთისთვის „ჩრდილოეთ ნაკადი-2-ით“ გაზის მიწოდება, სამხრეთ ენერგოდერეფნის მიმართ (მასში შედის შუა აზია, აზერბაიჯანი და საქართველო, რომელიც არის ჩამკეტი, ანუ ბოლო) ინტერესი გაზრდილია.

გაითვალისწინეთ ის, რომ 12 აგვისტოს ხელი მოეწერა კონვენციას კასპიის ზღვის სტატუსის შესახებ. ამ კონვენციას ხელი მოაწერა კასპიის ზღვის ხუთმა ქვეყანამ. ფაქტობრივად, ამ კონვენციის მიხედვით გაიხსნა შესაძლებლობა, თურქმენეთის გაზი (რომელიც ერთ-ერთი უდიდესი ქვეყანაა), კასპიის ზღვის, აზერბაიჯანისა და საქართველოს გავლით ევროპას მიეწოდოს.

ამ გზით — თურქმენეთი-აზერბაიჯანი, კასპიის ზღვა-საქართველო — შეიძლება 100 მილიარდი კუბურის ოდენობის გაზმა გაიაროს. ეს არის ევროპის დღევანდელი მოთხოვნის 10%. ამას შეუძლია ევროკავშირს პერსპექტიული მოთხოვნილებაც გადაუჭრას და პარალელურად მისი რუსეთზე დამოკიდებულებაც შეამციროს.

ამ პროექტის განხორციელება ჩვენთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. ჩვენ შეიძლება აქედან დაგვრჩეს 5 მილიარდი კუბურის მეტრის ოდენობის გაზი. ეს იაფი, ან უფასო გაზია. გაითვალისწინეთ, რომ საქართველო დღეს მოიხმარს 2,5 მილიარდს. საბჭოთა კავშირის დროს, როცა ყველაფერი მუშაობდა და ხარჯვითი ენერგოსისტემა იყო, ქარხნები ხარჯავდნენ გაზს, მაშინ ჩვენი მოხმარება იყო 4,5 მილიარდი მეტრ\კუბი. თუ ეს პროექტი განხორციელდა, საქართველოსთვის იქნება უსწრაფესი ეკონომიკური განვითარების საშუალება. მხედველობაში მაქვს რეალური ეკონომიკის განვითარება, კერძოდ კი, მრეწველობის აღორძინება, რაც სოციალურ პრობლემებსაც მოაგვარებს.

***— თქვენ ბრძანეთ, რომ სამხრეთ ნაკადის მილსადენის მშენებლობით ენერგოდერეფანი შეიძლება გაკეთდეს თურქმენეთიდან ევროპისკენ და იქიდან გაზი საქართველოს გავლით მიეწოდება ევროკავშირს.***

— არა მხოლოდ თურქმენეთს მიეცა ეს შესაძლებლობა, ყაზახეთსაც თავისუფლად შეუძლია შეუერთდეს და ირანიც ჩაერთოს კასპიის ქვეყნების კონვენციის მიღების შემდეგ.

***— პირიქით, ეს კონვენცია ხელს არ უშლის საქართველოს გავლით ენერგოდერეფნის გაკეთებას?***

— არა, აქამდე შეუძლებელი იყო თურქმენეთიდან კასპიის ზღვის გავლით მილსადენების მშენებლობა. კასპიის ზღვის ქვეყნების კონვენციის მიხედვით, ეს შესაძლებელი გახდა. სამხრეთ ნაკადის მშენებლობის პროექტი აქამდე იმიტომ ვერ ხორციელდებოდა.

***— აქამდე რატომ იყო შეუძლებელი?***

— ყველაზე უცნაური ამაში ისაა, რომ რუსეთის ხელისუფლება ამას დაეთანხმა. კონვენციას რუსეთმა ხელი მოაწერა. ახლა უნდა მოხდეს პარლამენტებში რატიფიცირება. რუსეთის ხელისუფლება სულელი არ არის, ამაზე ნაფიქრი რომ არ ჰქონდეს. თუ რუსეთს დაებლოკა თავისი რესურსების მიწოდება ევროკავშირისთვის, სამხრეთის მილსადენით კი მიეწოდა ძალიან მძლავრი ნაკადი, რუსეთის ეკონომიკისა და მისი პოლიტიკური გავლენებისთვის კატასტროფული სიტუაცია იქნება.

***— თურქმენული გაზის მიწოდების შემთხვევაში რუსეთს წილი ექნება?***

— არა, საიდან ექნება.

***— მაშინ რუსეთი რატომ დათანხმდა ამას?***

— როგორც ექსპერტები ამბობენ, რუსეთმა ერთი თავისი სასარგებლო რამ გააკეთა — ამ კონვენციით პირდაპირ აიკრძალა კასპიის ზღვაში არა კასპიის ზღვის ქვეყნების სამხედრო ყოფნა.

***— ანუ სამხედრო სფერო უფრო მნიშვნელოვანია რუსეთისთვის, ვიდრე სამხრეთის მილსადენის მშენებლობა?***

— რუსეთი იმდენად მძიმე მდგომარეობაშია, შესაძლებელია ამით ევროკავშირს და აშშ-ს დაანახა, რომ ის თანახმაა, გარდა თავისი გაზის რესურსებისა, სხვა ქვეყნებიდანაც შევიდეს ევროკავშირში გაზი, ოღონდ მისცენ უფლება, ბალტიის ზღვის გავლით მილსადენი გააკეთოს ევროპისთვის ენერგორესურსების მისაწოდებლად.

არის მეორე ვარიანტი — შესაძლებელია რუსეთმა საქართველოში, ან ზოგადად, ამიერკავკასიაში მოაწყოს დესტაბილიზაცია, პოლიტიკური კრიზისი და ეს რამდენიმე მილიარდიანი პროექტი — სამხრეთ ნაკადის მილსადენის მშენებლობა შეუძლებელი გახადოს. არამდგრად ვითარებაში, პოლიტიკური კრიზისის მდგომარეობაში, რეგიონში, მაგალითად, საქართველოში არც ერთი ქვეყანა ფულს არ დააბანდებს. ამიტომ ჩვენ ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ.

***— იყო ინფორმაცია, რომ კასპიის ზღვის ქვეყნები კასპიის ზღვის საზღვრებს ვერ იყოფენ, რადგან ამ ზღვაში დიდი რაოდენობით ნავთობია.***

— ამ კონვენციამ ეს უკვე დაარეგულირა.

***— კონვენციის ხელმოწერის შემდეგაც მოვისმინე ტელევიზიით, რომ საზღვრებს ვერ იყოფენო.***

— ტელევიზიით ნურაფერს მოისმენთ, კონვენცია წაიკითხეთ.

***— მოკლედ, მერკელი ახერხებს ორმხრივ თამაშს — იქით რუსეთთან გარკვეული საკითხების გადაჭრას ახერხებს (50 მილიარდის სავაჭრო ბრუნვა ჰქონია რუსეთთან), აქეთ კი სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მომადლიერებას.***

— პოლიტიკა ძალიან სერიოზული საკითხია, მხოლოდ და მხოლოდ ინტერესების სფეროა. ამ ინტერესების სფეროში ძირითადად ეკონომიკური და უსაფრთხოების საკითხებია. ევროკავშირისთვის ძირითადი ამოცანაა, თავისი 500 მილიონიანი მოსახლეობა ენერგორესურსებით უზრუნველყოს ისე, რომ ენერგორესურსების მიწოდება პოლიტიკური თვალსაზრისით მისთვის უსაფრთხო იყოს. ამიტომ, ბუნებრივია, ეს ჩვენი დერეფანი, რომელიც შუა აზიისა და აზერბაიჯანის რესურსების ევროკავშირში გატანის შესაძლებლობას იძლევა, აქ საქართველო არის წამყვანი ქვეყანა. ეს ჩვენი საშუალებით უნდა გაკეთდეს, სხვანაირად ვერ მოხდება.

ჩვენ დიდი პერსპექტივა გვაქვს როგორც პოლიტიკური გაძლიერების, ისე ეკონომიკური ზრდისა და ევროპული მხარდაჭერის თვალსაზრისით. მთავარია, შევინარჩუნოთ სტაბილურობა და როგორმე მივაღწიოთ იმას, რომ ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი არ შეიქმნას.

## სამი მნიშვნელოვანი საკითხი მერკელის გზავნილებიდან

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ბას აღარ აპირებენ. თუმცა ბალკანეთის კონტექსტში მოხსენიება მაინც პოზიტიური სიახლეა, აქამდე ამასაც არ აკეთებდნენ. რაც შეეხება დროის კონკრეტულ პერიოდს, ბალკანეთის ქვეყნებს კიდევ მინიმუმ 5-10 წელი დასჭირდებათ ევროკავშირში გასაწევრიანებლად, ზოგს უფრო მეტიც. საქართველო თუ შემდეგი რგოლია, თქვენ თვითონ განსაზღვრეთ, ამას კიდევ რამდენი წელი უნდა დავუმატოთ. მანამდე უპრიანი იქნებოდა, საქართველომ ყურადღება ინტეგრაციის სხვა ფორმატებზე შეაჩეროს, თუნდაც ნორვეგიის ფორმატზე, რომელიც ევროკავშირის დე ფაქტო წევრობას და ევროკავშირთან სრულ ეკონომიკურ და საბაზრო ინტეგრაციას ითვალისწინებს, მუშაობის შეუზღუდავი უფლების ჩათვლით, — ამბობს ლებანიძე ნეტგაზეთთან.

რაც შეეხება ნატოზე მერკელის განცხადებას იმის თაობაზე, რომ ალიანსში საქართველოს სწრაფად გაწევრიანების პერსპექტივას ვერ ხედავს, ანალიტიკოსი ამბობს:

— სამწუხაროდ, საქართველო ახლო მომავალში ნატოს წევრი ფორმალურად ვერ გახდება. არამარტო გერმანია, წინააღმდეგია საფრანგეთიც და ევროპის მთელი რიგი ქვეყნები, და ჯორჯ ბუშის შემდეგ აშშ-ის ორივე ადმინისტრაციაც ცალყბად უჭერდა მხარს საქართველოს ნატოს წევრობას. გამოსავალი არის აქაც იგივე, რაც ევროკავშირის შემთხვევაში: უნდა მოხდეს არაფორმალური არხების გააქტიურება, ორმხრივი სამხედრო კავშირების გაღრმავება აშშ-თან, საფრანგეთთან და სხვა ქვეყნებთან, იგივე პესკოსთან — ევროკავშირის ახალ სამხედრო სტრუქტურასთან ასოცირებულ წევრობაზე მუშაობა. ამ ნაბიჯებით საქართველომ უნდა მიაღწიოს დასავლეთთან სამხედრო და პოლიტიკური ინტეგრაციის ისეთ დონეს, რომ ნატოში გაწევრება მხოლოდ ფორმალურ საკითხად იქცეს. ლოგიკა არის მარტივი — როდესაც არ გიღებენ წინა კარიდან, უნდა შეხვიდე უკანა კარით. ეს მეთოდი საერთაშორისო პოლიტიკაში ხშირად ამართლებს, — აცხადებს ბიძინა ლებანიძე.

ის ასევე მნიშვნელოვან გარემოებად მიიჩნევს იმას, რომ მერკელმა ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში შექმნილ მდგომარეობას ოკუპაცია უწოდა.

— რა თქმა უნდა, დადებითი მომენტია. ზოგადად, ეს გერმანული პოლიტიკური კულტურის ნაწილიცაა, რომ გერმანელი პოლიტიკოსები ცდილობენ აიცილონ მკვეთრი გამონათქვამები და თვით მერკელიც ფრთხილი პოლიტიკოსია. ამიტომ, რაც უფრო



ხშირად გაიმეორებენ ამას და რაც მეტად დამკვიდრდება გერმანიის პოლიტიკურ წრეებში აფხაზეთის და სამაჩაბლოს ოკუპირებულ ტერიტორიებად მოხსენიება, რა თქმა უნდა, მით უკეთესია, — განაცხადა ლებანიძემ.

**ნეტგაზეთი**

# „ბაქო-თბილისი ჯეიჰანის პროექტიდან წელიწადში 2,2 მილიარდ დოლარს უნდა ვიღებდეთ“

## მირიან მირიანაშვილი: „ენერგომატარებლების საქართველოზე გატარებით მიღებული მოგებით მარტო სხვა სახელმწიფოებმა არ უნდა იხეირონ“



მარიამ მჭედლიშვილი

მიმდინარე მოვლენებზე „ახალი თაობა" ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, „საქართველოს გადარჩენის მოძრაობის" ლიდერ მირიან მირიანაშვილს.

***— საზოგადოება უკმაყოფილოა დარჩა ფედერალური კანცლერ მერკელისა და პრემიერ ბახტაძის მიერ ბრიფინგზე გაკეთებული განცხადებებით. კრიტიკის საგანია ის, რომ არაფერი ითქვა ნატოში საქართველოს გაწევრიანებასა და ანტირუსულ სანქციებში საქართველოს პრობლემატიკის მიბმაზე.***

— ეს არც არის გასაკვირი. საქართველოს ხელისუფლებას წლებია, ისეთი მიდგომა აქვს, რომ ჩვენი მწვავე პრობლემები იჩქმალება, არ ხდება მათი აქტუალიზაცია მსოფლიოში. საქართველოს ხელისუფლება ერიდება რუსეთის გაღიზიანებას და ცდილობს მოიქცეს ისე, როგორც მოსკოვს ესიამოვნება. ეს პოლიტიკა ძველია და ბახტაძის გამონათქვამებით არ დაწყებულა.

***— რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ ჩადენილი უსამართლობის ხსენების გარდა, არც ანგელა მერკელს ულაპარაკია იმაზე, რაც ყველაზე უფრო გვაწუხებს.***

— გერმანია და საფრანგეთი ის სახელმწიფოები არიან, რომლებიც ეწინააღმდეგებიან საქართველოს მიღებას ნატოში. ამ მიმართულებით განსაკუთრებულად არ აქტიურობს საქართველო. გერმანია და საფრანგეთი ყოველთვის დაბლოკავენ საქართველოს ალიანსში. გერმანიას არ აძლევს ხელს აშშ-ის გაძლიერება. საქართველოს მიმართ მისი პოზიციის მთავარი ახსნა ესაა. ჩვენთვის უფრო რეალურია აშშ-სთან ორმხრივი სტრატეგიული თანამშრომლობა სამხედრო სფეროში. იმისათვის, რომ ამერიკასთან სტრატეგიული პარტნიორობა გავაღრმავოთ, სასურველია მონაწილეობა აშშ-ის ენერგეტიკულ სტრატეგიაში.

***— არსებობდა ცუდი მოლოდინი, რომ პუტინთან შეხვედრის შემდეგ, რომელიც უძღოდა კავკასიურ ტურნეს, გერმანიის კანცლერი თბილისში რუსეთისთვის უფრო სასურველ განცხადებებს გააკეთებდა. ეს ეჭვი სკეპტიკოსებს არ გაუმართლდათ.***

— მერკელს რუსეთის გასაღიზიანებელი არაფერი გაუკეთებია. გერმანია რუსეთს არ უპირისპირდება, „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის გაზსადენის მშენებლობა რჩება გერმანია-რუსეთის ერთობლივ პროექტად, თუმცა ამერიკული სანქციების გამო, ამ გაზსადენს ამ მშენებლობისას ან შემდგომ შეიძლება დაბრკოლებები შეხვდეს. ამიტომ, ქალბატონი კანცლერი ალტერნატივის ძიებაშია.

### ანგელა მერკელის კავკასიური ტურნეს მთავარი მიზეზი

***— სამხრეთ კავკასიაში მისი ჩამოსვლის მიზეზად სწორედ კასპიის ზღვის აუზის ენერგორესურსები და მათი ევროპაში ტრანსპორტირება დასახელდა.***

— მისი მიზანი ნამდვილად გაზია. ამის დასტურია ტურნემდე რამდენიმე დღით ადრე კანცლერის საიტზე გაჩენილი ჩანაწერი. ამ ინფორმაციით, კავკასიაში ვიზიტის მიზანია სამხრეთის ენერგეტიკული დერეფნის ორგანიზება.

ეს ჩანაწერი 15 წუთში გაქრა. ტურნე რამდენიმე თვის წინ დაიგეგმა. მაშინ „ჩრდილოეთ ნაკადი 2“-ის მიმართ ვაშინგტონის უარყოფითი დამოკიდებულება გამჟღავნებული იყო. ამ პერიოდში განისაზღვრა კასპიის ზღვის სტატუსი და კასპიისპირა სახელმწიფოებს შორის მოხდა შეთანხმება. თურქმენეთიდან ევროპაში გაზსადენის გაყვანა რეალური გახდა. ამ გაზსადენზე აზერბაიჯანთანაც საჭიროა მოლაპარაკება. მან საქართველოც უნდა გადაკვეთოს. ერთი შეხედვით, ეს საქართველოსთვის პოზიტივია, მაგრამ ასე მარტივად არ არის საქმე.

***— რას გულისხმობთ?***

— იმას, რომ ენერგომატარებლების საქართველოზე გატარებით მიღებული მოგებით მარტო სხვა სახელმწიფოებმა არ უნდა იხეირონ.

***— საქართველო აქედან სარგებელს ვერ ნახავს?***

— თუ ახლანდელი მიდგომა დარჩა, საქართველოს მოგება ახალი მილსადენიდანაც ისეთივე მიზერული და სიმბოლური იქნება, როგორიც სხვა ტრანზიტიდან გვაქვს. მთავარი უბედურება ისაა, რომ რუსეთი, რომელიც საქართველოდან ფაქტობრივად არ გასულა, ენერგომატარებლების ტრანზიტსაც გვიკონტროლებს და მოგების დიდ ნაწილს ითვისებს. ამიტომ, საქართველოს ხელისუფლებას მე და ჩემი თანამოაზრეები მოთხოვნებს ვუყენებთ. კატეგორიულად მოვითხოვთ, რომ საქართველომ დაიცვას საკუთარი ინტერესები!

***— საქართველოს ხელისუფლებამ უნდა მოითხოვოს რეალური და არა სიმბოლური წილი ამ ტრანზიტიდან?***

— რასაკვირველია. ეს ეხება მთლიანად ენერგომატარებლების ტრანზიტს მილსადენებითა და რკინიგზით. ჩვენს ინტერესებზე რატომ უნდა ვთქვათ უარი აზერბაიჯანის ან თუნდაც გერმანიის გამო? ქვეყანა კარგავს მოგებას იმ დროს, როცა საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ღარიბი, ღატაკი და მშიერია.

***— საქართველოს ხელისუფლებებს მშიერი მოსახლეობა გულს არასდროს უჩვილებს.***

— ხელისუფლებამ ჯობია, საქმე მშიერ ბუნტამდე არ მიიყვანოს. თუ ხელისუფლება არ დააყენებს მილსადენების გატარების ტარიფის გაზრდის საკითხს, მაშინ ჩვენი მოძრაობა თვითონ იმოქმედებს.

***— აქციებს გამართავთ?***

— თუ საჭირო გახდა, აქციებსაც გავმართავთ. შემუშავებული გვაქვს სპეციალური დოკუმენტი — ენერგომატარებლების ქარტია. მას უახლოეს ხანში წარვადგენთ პარლამენტში. შესაძლოა, შესაბამისი კანონპროექტისათვისაც შევაგროვოთ მოსახლეობაში ხელმოწერები.

ამ პროექტებს აშშ-ის კონგრესშიც გავგზავნით. თუ ხელისუფლებამ ხელი არ გაანძრია, დავაყენებთ ამ სატრანზიტო პროექტებიდან საქართველოს გამოყვანის საკითხს. მარტო ბაქო-თბილისი ჯეიჰანის პროექტიდან წელიწადში უნდა ვიღებდეთ 2,2 მილიარდ დოლარს. დანარჩენი ენერგოტრანზიტიდან — 3 მილირდ დოლარზე მეტს. სინამდვილეში, ვიღებთ ამის ორმაცდამეათედს, ანუ მისაღების 2-3 პროცენტს.

***— იმედი გაქვთ, რომ ევროკავშირთან და აზიის მთელ რიგ სახელმწიფოებთან დაპირისპირებული ვაშინგტონი მხარს დაგიჭერთ?***

— ამ მხარდაჭერაში დარწმუნებული ვარ. ამას ეკონომიკურთან ერთად პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ეკონომიკურად გაძლიერებულ საქართველოს პოლიტიკური წონა შეემატება. ღატაკი სახელმწიფოს დამოუკიდებლობა წარმოუდგენელია.

ამჟამად საქართველო ღატაკი ქვეყანაა. მისი მოსახლეობის დიდი ნაწილი სიდუხჭირეშია ჩავარდნილი. ენერგოპროექტებიდან შემოსავლის გაზრდას, რაც კეთილდღეობას მოიტანს, ყველა რიგითი მოქალაქე დაუჭერს მხარს. ხელისუფლებამ ტესტი მარტო ენერგეტიკულ საკითხებში არ უნდა ჩააბაროს. ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გადაწყვეტილი, თუ ვის დაუჭერს მხარს „ქართული ოცნება“ საპრეზიდენტო არჩევნებზე.

***— ისევ მიგაჩნიათ, რომ სხვებზე უკეთესი კანდიდატურა სალომე ზურაბიშვილია?***

— დასავლეთში სალომე ზურაბიშვილი აღიქმება კანდიდატად, რომელიც დამოუკიდებელია რუსეთისაგან. არავინ ამბობს, რომ ის უნაკლო და უშეცდომოა. ზურაბ აბაშიძე გაწონასწორებული კაცია, მაგრამ ის ასოცირდება რუსეთთან და მისი გვარი მიბმულია კარასინის გვართან. ამიტომ, პირადად ბიძინა ივანიშვილისათვის ტესტი იქნება, ზურაბიშვილს დაუჭერს მხარს თუ აბაშიძეს.

# ივანე მაჭავარიანი: „ხორბლის იმპორტიორებისთვის სახმელეთო გადაზიდვების აკრძალვა არის სახელმწიფოებრივად სწორი გადაწყვეტილება“



ხორბლის იმპორტიორებისთვის სახმელეთო გადაზიდვების აკრძალვა არის ცივილიზებული და სახელმწიფოებრივად სწორი გადაწყვეტილება – ამის შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ივანე მაჭავარიანმა განაცხადა.

მისი თქმით, მანქანებით ხორბლის ტრანზიტი იწვევდა სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე გრძელ რიგებს, რის გამოც ტურისტების შემოსვლა ფერხდებოდა. მაჭავარიანის შეფასებით, აღნიშნული გადაწყვეტილება ქვეყნის ეკონომიკაში დისონანსს არ შემოიტანს და საქართველოში ხორბლის შემოტანა უფრო ცივილური გზით მოხდება.

— ბიზნესზე არანაირი ზეწოლა არ ხდება. საქართველოს ტერიტორიაზე მანქანებით ხორბლის ტრანსპორტირებასა და ტრანზიტზე შეზღუდვები დავაწესეთ, რადგან პრაქტიკულად, სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე იყო ძალიან დიდი რიგები, ტურისტები ვერ ახერხებდნენ შემოსვლას, ასეულობით მანქანა ბრუნდებოდა უკან. ჩვენი ინფორმაციით, განსაკუთრებით, ეს პრობლემა აღინიშნებოდა ლარსის გამშვებ პუნქტზე.

მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ არსებობს გაცილებით ცივილიზებული და ეფექტური გზა, ეს არის საზღვაო ტრანსპორტისა და რკინიგზის გამოყენება და სხვათა შორის, მინდა გითხრათ, რომ პრაქტიკულად, ყოველთვის ამ გზით ხდებოდა ხორბლის ტრანზიტი საქართველოს ტერიტორიიდან სომხეთში და ასევე საქართველოში შემოტანა. ჩვენი აზრით, ეს არანაირ დისონანსს არ შემოიტანს ეკონომიკაში და არც არანაირ გაძვირებასთან არ ექნება კავშირი. ეს არის ცივილიზებული და სწორი გადაწყვეტილება, — განაცხადა მაჭავარიანმა.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, ის მზად არის, ნებისმიერ დაინტერესებულ პირთან კონსულტაციების გასამართად და მან ასევე უარყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ხორბლის საზღვაო გადაზიდვა რომელიმე ერთ კომპანიას აქვს მონოპოლიზებული.

— რასაკვირველია, ჩვენ გვექნება კონსულტაციები ყველასთან. არავის არ მივატოვებთ, მოვისმენთ ყველას აზრს, მაგრამ ამ ეტაპზე ეს იყო სწორი გადაწყვეტილება, ქვეყნისთვის საჭირო გადაწყვეტილება. არა მგონია, რამე მონოპოლია არსებობდეს. დარწმუნებული ვარ, ეს მიმართულება განვითარდება და გაცილებით მეტი მოთამაშეც იქნება წარმოდგენილი.

დღეს პრაქტიკულად არ ხდებოდა ამ არხის გამოყენება ხორბლის გადაზიდვებისთვის და აქედან გამომდინარე, შეიძლება ერთი კომპანია არსებობდა, მაგრამ არანაირი შეზღუდვა არ არის დაწესებული. მგონია, რომ იქაც იქნება კონკურენცია, რაც უფრო ქვევით დაწევს ტრანსპორტირების ხარჯს. ეს იყო სახელმწიფოებრივად სწორი გადაწყვეტილება, — განაცხადა მაჭავარიანმა.

1ტვ.გე

# მიწისქვეშა გაზსაცავის დასაფინანსებლად შეთანხმება გაფორმდა



სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციასა“ და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (ჴფჭ) შორის „სამგორის სამხრეთი თაღის საბადოზე მიწისქვეშა გაზსაცავის მოწყობის თაობაზე“ შეთანხმება გაფორმდა.

ხელმოწერას, რომელსაც გერმანიის კანცლერის, ანგელა მერკელის საქართველოში ვიზიტის ფარგლებში გაიმართა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილეები გიორგი ჩერქეზიშვილი და ნინო ენუქიძე, აგრეთვე გერმანიის ეკონომიკისა და ენერგეტიკის სამინისტროს საპარლამენტო მდივანი თომას ბარაისი დაესწრნენ. შეთანხმებას ხელი მოაწერეს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციასა“ პრეზიდენტმა დავით თვალაბეიშვილმა და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (ჴფჭ) აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის დეპარტამენტის უფროსმა ოლაფ ციმელკამ.

ხელშეკრულება ითვალისწინებს მიწისქვეშა გაზსაცავის პროექტისთვის 150 მილიონი ევროს ოდენობის დაფინანსების გამოყოფას. მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობით მნიშვნელოვნად გაიზრდება საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება. პროექტი უზრუნველყოფს ქვეყანაში გაზის მიწოდებასა და მოხმარებას შორის არსებული სეზონური დისბალანსის დარეგულირებას და ზამთრის პერიოდში პიკური მოხმარების დაკმაყოფილებას. სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ გაზსაცავის სამშენებლო სამუშაოებს 2019 წელს დაიწყებს და პროექტის ექსპლუატაციაში შესვლა 2022 წელს იგეგმება.

**კომერსანტი**

# ანგელა მერკელის ეკონომიკური რჩევები საქართველოს მთავრობას

გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის განცხადებით, საქართველოსთვის მთავარი გამოწვევა არის უსაფრთხოება, კეთილდღეობის შექმნა რეგიონებში და მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება. გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის შეფასებით, ქვეყნის უსაფრთხოებაც და კეთილდღეობაც მიღწევადია, თუ ქვეყნის ეკონომიკა სწრაფად განვითარდება:

— კეთილდღეობა, სოციალური ქმედითი ქსელის ჩამოყალიბება მათ შორის რეგიონებში, უნდა მოხდეს სოფლად მცხოვრები ადამიანების გათვალისწინება. შეიძლება თბილისში ადამიანები უკეთ ცხოვრობენ, მაგრამ მეორე მხრივ, რეგიონებშიც უნდა მიდიოდეს განვითარების პროცესები.

ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ პრემიერ-მინისტრ გიორგი ბახტაძესთან სწორედ საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარებაზე ისაუბრა:

— პრემიერ-მინისტრთან საკმაოდ დიდხანს ვისაუბრე ინკლუზიურ ზრდაზე. ძალიან მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო საწარმოების ჩამოყალიბება. ახალგაზრდა ადამიანს უნდა ჰქონდეს საწარმოს ჩამოყალიბების შესაძლებლობა. მას უნდა ჰქონდეს კარგი შესაძლებლობა საკუთარი სექტორის განვითარების, იაფი კრედიტის მიღება, სესხის მიღება. რათა ღირდეს ორიენტაცია განვითარებაზე. რაც მეტია დივერსიფიკაცია, რაც მეტი მრავალმხრივობა ჩნდება, რაც უფრო ნაკლებია მსხვილი საწარმოები, მით უკეთესია და ქვეყანაც სწრაფად ვითარდება. ბუნებრივია, ამიტომ მცირე და საშუალო კომპანიების რაოდენობა უნდა გაიზარდოს. თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ევროკავშირთან არის უდიდესი გამოწვევა და შესაძლებლობა საქართველოსთვის და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ევროპულ ბაზარზე. ვისაც უნდა იყოს დამოუკიდებელი, თვითმყოფადი, მან უნდა შეძლოს გამოიყენოს სამართლებრივად და ეკონომიკურად ეს შესაძლებლობები.

**კომერსანტი**

# ეროვნული ბანკი: „ჩვენ უფრო უარყოფით შედეგს ვპროგნოზირებდით“



ეროვნული ვალუტის კურსი დოლარსა და ევროსთან მიმართებით 10 აგვისტოდან 17 აგვისტომდე ყოველდღე ეცემოდა, 17 აგვისტოდან კი გამყარება დაიწყო, თუმცა საწყის პოზიციას ვერ დაუბრუნდა. ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის აზრით, მთავარია დოლარიზაცია არ იყოს გამოწვევა საფინანსო სექტორისა და მსესხებლისთვის.

არჩილ მესტვირიშვილმა ისიც აღნიშნა, რომ ეროვნული ბანკი თურქეთში მიმდინარე პროცესებს აკვირდებოდა და შედეგს უფრო უარყოფითს ვარაუდობდა:

— ეკონომიკაში მუდმივად არსებობს შოკები. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, რომ ინფლაცია მიზნობრივიდან იყოს გადახრილი. ეს იყო თურქეთის ფაქტორი და ჩვენ იქ ვაკვირდებოდით, რა იქნებოდა გადმოცემა თურქეთიდან, და უფრო ნაკლებია, ვიდრე პროგნოზირებული გვქონდა. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობის ფასები, ჩვენ იქაც უფრო მაღალ ფასებს ვპროგნოზირებდით. ეს იყო ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რისი რისკების ნაკლები მატერიალიზაცია მოხდა, ვიდრე ჩვენ ეს თავიდან გვქონდა პროგნოზირებული.

ახალციხეში ამბობენ, რომ ლარის კურსის ცვლილების გამო პროდუქტზე ფასები ნაწილობრივ უკვე შეიცვალა. ბოლო დღეებში ბაზარში ხილბოსტნეულის ფასმაც მოიმატა. მოვაჭრეების თქმით, პროდუქტი გაძვირდა და სოფლის მცხოვრებლებმაც საკუთარ ნაწარმზე ფასი გაზარდეს. სურსათის მაღაზიებში კი ჩივიან, რომ ლარის კურსის ვარდნამ იმპორტირებული პროდუქტი გააძვირა, მყიდველი კი შეამცირა:

— ხილიც და ყველაფერიც იმატებს. მარტო ერთი და ორი პროდუქტი კი არა. ყველაფერი იმატებს. ძნელია უკვე, ხალხი ძალიან გაჭირვებულია.

— დოლარის კურსით არაფერს ვიღებ, მაგრამ მეტად თუ ავიღებ, მეც მოვუმატებ.

— ჯერ არაფერია მომატებული, რადგან ძველი შემოტანილია, მაგრამ მერე ჩვენც მოვუმატებთ, აბა, რას ვიზამთ?

მოქალაქეები ყველაზე მტკივნეულად აუცილებელი საჭიროებების — საკვები პროდუქტებისა და მედიკამენტების — გაძვირებას განიცდიან. წარსულის გათვალისწინებით, მოსახლეობა ეროვნული ვალუტის გაუფასურებასთან ერთად პროდუქტის გაძვირებასაც ელის:

— ხალხი, რომელიც იყო, მოვიდნენ გუშინ მეგობრები ჩემთან და მითხრეს, რომ ყველაფერი გაძვირდა.

— შეიძლება ნივთი არ იყიდო, მაგრამ საკვებს რას უზამ? შაქარი, მაიონეზი უკვე გაძვირებულია.

ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა არჩილ მესტვირიშვილმა ანალიტიკოსებთან გამართულ შეხვედრაზე თქვა, რომ დოლარიზაციის შემცირებას რამდენიმე წელი დასჭირდება:

— ჩვენთვის მთავარია, რომ დოლარიზაცია არ იყოს გამოწვევა საფინანსო სექტორისთვის და მსესხებლისთვის, თუმცა ის დონე, რაც ახლა ჩვენ გვაქვს დოლარიზაციის, მგონი, ყველა ვთანხმდებით, რომ ერთ-ერთი მაღალია მსოფლიოში და ეს ყველა ანალიტიკოსის პუბლიკაციაში თუ სარეიტინგო სააგენტოს პუბლიკაციაში ნახსენებია, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რისკი. ჩვენ ის ტემპი, რაც გვაქვს დოლარიზაციის შემცირების, ვფიქრობთ, რომ კარგი არის და მას დასჭირდება რამდენიმე წელი, რომ დოლარიზაცია შემცირდეს იმ დონეზე, რომ ის აღარ იყოს გამოწვევა ფინანსური სექტორისთვის.

საქართველოს ეროვნული ვალუტის რამდენიმე პუნქტით გაუფასურებას საკვებ პროდუქტებსა და მედიკამენტებზე ფასის მნიშვნელოვნად მომატება არ გამოუწვევია, საწვავი კი რამდენიმე თეთრით გაიაფდა. მიზეზი მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასის კლებაა. ეროვნულმა ბანკმა ლარის კურსი აშშ დოლარის მიმართ 22 აგვისტოსთვის 2.5851 ნიშნულზე, ხოლო ევროს კურსი 2.9954-ზე დაადგინა.

**კომერსანტი**

# აუცილებელია თამბაქო ისე იყიდებოდეს, რომ ბავშვები მას ვერ ხედავდნენ

დარწმუნებული ვართ, უახლოეს პერიოდში საქართველო შეძლებს, თამბაქოს პროდუქტები ბავშვებისთვის ხელმისაწვდომი არ იყოს და მოზარდები ვერც ერთ მაღაზიაში ვერ ნახავენ თამბაქოს ნაწარმს.



აუცილებელია თამბაქო ისე იყიდებოდეს, რომ ბავშვები მას ვერ ხედავდნენ, — ასე გამოეხმაურნენ საქართველოში მოზარდების მიერ თამბაქოს ნაწარმის მოხმარების სტატისტიკას თბილისში სპეციალური ვიზიტით მყოფი ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტები ინგლისიდან იან გრეი და პოლ ჰუპერი.

თამბაქოს კონტროლის ალიანსის ცნობით, ექსპერტებმა ლუგარის ცენტრში ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის მასტერ-კლასი გამართეს. შეხვედრის მიზანი იყო სამინისტროს წარმომადგენლების მომზადება თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციის და პოპულარიზაციის მარეგულირებელი კანონმდებლობის აღსრულებისთვის.

ექსპერტებმა ქართველ აღმასრულებლებს არასრულწლოვანებზე თამბაქოს მიყიდვის აკრძალვის აღსრულების საკითხებში ინგლისის გამოცდილება გააცნეს.

— თამბაქოს კონტროლის კანონით, საქართველოში თამბაქოს ნაწარმის ღერებით გაყიდვა ჯერ კიდევ 2003 წლიდან იკრძალება, თუმცა, კანონის აღსრულების საკითხი პრობლემურია. ამის შესახებ უცხოელმა ექსპერტებმაც შენიშნეს. ისინი თბილისში შემოსავლების სამსახურის ოფიცრებთან ერთად ბაზრობებზე და ქუჩებში მონიტორინგის მიზნით გავიდნენ. მათ დააფიქსირეს ბაზრობების ტერიტორიებზე ხელით მოვაჭრეები, რომელთაც თამბაქოს ნაწარმი ღერებით სავაჭროდ გამოეფინათ, — აცხადებენ ორგანიზაციაში.

მათივე თქმით, უცხოელი ექსპერტები აცხადებენ, რომ კანონის აღსრულებისთვის საკმარისი არ არის ღერებით მოვაჭრეებზე დაკვირვება და ჩასაფრება. აღსრულების მექანიზმის ამ მიმართულებით გასაუმჯობესებლად აუცილებელია მაკონტროლებლები

საქართველოშიც სისტემატურად მიმართავდნენ საერთაშორისო პრაქტიკას, თამბაქოს ნაწარმის ღერებით ე.წ. სპეციალურ საკონტროლო შესყიდვებს, მათ შორის, ლეგალური გზით, არასრულწლოვანთა მონაწილეობით.

— ევროპის ქვეყნებში არასრულწლოვნებს ამ მეთოდში ეთიკური ნორმების ზედმიწევნით დაცვით, მშობლებთან შეთანხმებით, სამართალდამცველების სრული კონტროლის ქვეშ რთავენ. მოზარდები მაღალი სამოქალაქო მოვალეობის შემსრულებელ პირებად მიიჩნევიან, მათ იციან, რომ ჯანსაღი მომავალი თაობისთვის მუშაობენ, — აცხადებენ ექსპერტები.

თამბაქოს კონტროლის ალიანსის ინფორმაციით, მიმდინარე წლის პირველი სექტემბრიდან იკრძალება თამბაქოს ნაწარმის (მათ შორის ელექტრონული სიგარეტის) გამოდება ვიტრაჟებსა და ვიტრინებში. ასევე იკრძალება ე.წ. „დრაივ თობაქოს“ ჯიხურებიდან თამბაქოს ნაწარმის შეძენა მანქანიდან გადმოუსვლელად. საჯარიმო სანქცია განისაზღვრა 2.000 ლარის, განმეორების შემთხვევაში კი 4.000 ლარის ოდენობით. ამ მიმართულებების დარღვევებზე რეაგირება ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს ევალება.

**ბპნ**

# რა ღირს სტუდენტებისთვის ბინის დაქირავება თბილისში

თბილისში ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე ბინების დაქირავების თუ გაქირავების საკითხი აქტიურდება.

იმის გამო, რომ აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების დიდი ნაწილი სწორედ თბილისში მდებარეობს, ამიტომაც სტუდენტების უმეტესობა განათლების მისაღებად საცხოვრებლად მინიმუმ 4 წლით თბილისში გადადის.

რეგიონებიდან ჩამოსულ სტუდენტებს, სწავლის გადასახადის გარდა, დამატებით საცხოვრებელი ადგილის პოვნა და მისთვის შესაბამისი ფინანსების მოძიება უწევს.

„ბიზნესპრესნიუსი“ დაინტერესდა, რა ღირს ბინის დაქირავება თბილისის სხვადასხვა უბანში და სტუდენტები საცხოვრებლად რომელ უბანს ირჩევენ.

SAQME.GE-ის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, თბილისში მხოლოდ ერთი ოთახის დაქირავება კერძო სახლში ან ბინაში 150-250 ლარის ფარგლებშია და მისი ფართობი 15-20 კვადრატულ მეტრს შეადგენს.

რაც შეეხება ზოგადად ფასებს, ერთოთახიანი ბინის დაქირავება 250-400 ლარის ფარგლებშია შესაძლებელი. ამ კატეგორიაში უბნების მიხედვით გასაქირავებელი ბინების რაოდენობა ასეთია: ისანი-სამგორი — 180, ვაკე-საბურთალოზე — 100, გლდანი-ნაძალადევი — 350, ხოლო დიდუბე-ჩუღურეთში — 88.

400-550 ლარამდე ქირავდება შედარებით კეთილმოწყობილი 1 და 2-



ოთახიანი ბინები. ამ კატეგორიაში ვაკე-საბურთალოზე — 460 განცხადებაა, ისანი-სამგორი — 400, გლდანი-ნაძალადევი — 400, ხოლო დიდუბე-ჩუღურეთში — 220 განცხადება ფიქსირდება.

ასევე „ბიზნესპრესნიუსი“ დაინტერესდა, სტუდენტები საცხოვრებლის შერჩევისას რას ითვალისწინებენ და რა პრობლემებთან არის დაკავშირებული შესაფერისი ბინის პოვნა. სწორედ ამიტომ რამდენიმე რეგიონიდან ჩამოსული სტუდენტი გამოვკითხეთ, რომელიც თბილისში ქირით ცხოვრობს.

**ლანა ხაჭაპურიძე — მე-3 კურსის სტუდენტი:**

— რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩავაბარე, მას შემდეგ ქირით ვცხოვრობ. მოგეხსენებათ, სტუდენტისთვის ქირის საფასურის გადახდა მარტივი არ არის და, რა თქმა უნდა, ამაში მშობლები მეხმარებიან. თუმცა ბინის დაქირავება ყოველთვიურად იმდენად ძვირია, ძნელია 300-400 ლარიც გიხადონ, დამატებით ყოველდღიური საჭმლის ფულიც გქონდეს და ა.შ. ამიტომ თავიდანვე გადავწყვიტე ბინა სხვა სტუდენტებთან ერთად მექირავა. მეორე კურსიდან ჯგუფელებმა ბინა ერთად ვიქირავეთ, რაშიც 500 ლარს ვიხდით. 2 პატარა ოთახი გვაქვს, ერთი საძინებელი და მისაღები.

**მარიამ ბუსხრიკიძე — მე-2 კურსის სტუდენტი:**

— მე ვარკეთილში ვცხოვრობ და ბინაში 300 ლარს ვიხდი. ჩემი ძმაც სტუდენტია და ერთად ვცხოვრობთ. რაც შეეხება ადგილს, შესაძლოა, ქალაქის ცენტრში არაა, მაგრამ წყნარი ადგილია, მეტროსთან ახლოს და ჩემთვის მოსახერხებელია.

**გვანცა ავაზაშვილი — მაგისტრატუსი პირველ კურსზე:**

— კახეთიდან ვარ, თელავში ვცხოვრობ, თბილისში მას შემდეგ გადმოვედი, რაც უნივერსიტეტში დავიწყე სწავლა. ალბათ, „ჩამოსული“ სტუდენტების ცხოვრება გაცილებით რთულია, ვიდრე მათი, ვინც თბილისში ცხოვრობს, თუმცა გაცილებით საინტერესოცაა. აქ საკუთარ თავზე ხარ დამოკიდებული, სხვისი იმედი არ გაქვს. გამაოცა იმან, რომ ყველა ქალაქის ცენტრალურ უბნებში ეძებს ბინას, სადაც ძალიან მაღალი ფასებია. ბევრი ვიცი ჩემ ირგვლივ, ვინც 300-200 ლარს იხდიან და სახლსაც კი ვერ დაარქმევ, ისეთ ადგილას ცხოვრობენ.

მე პირიქით, მირჩევნია გარეუბანში ვიყო. ნორმალურ პირობებში ვიცხოვრო და ფასიც ადამიანური გადავიხადო, ვიდრე ის ვიძახო, რომ ვაკეში და საბურთალოზე ვცხოვრობ. ახლა სანზონაში ვცხოვრობ, ბინაში 250 ლარს ვიხდი, ერთოთახიანი ბინაა, თავისი მისაღებით, საძინებლით სამზარეულოთი, მოკლედ, მშვენიერი ადგილია საცხოვრებლად.

**ბპნ**

# „სითი პარკი“ მერიის წინააღმდეგ საერთაშორისო დავას სექტემბრიდან იწყებს

საქართველოში სამართლებრივი დავის დაწყებამდე „სითი პარკს“ სარჩელი საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრში შეაქვს.



როგორც „ბიზნესპრესნიუსს“ კომპანიის იურისტმა თამარ შუბითიძემ განუცხადა, „იურიდიულ კომპანიასთან ერთად სარჩელზე მუშაობა სრულდება და სექტემბერში მას უკვე ICSID-ში შევიტანთ“. საქმე ეხება თბილისის მერიის მიერ „სითი პარკისთვის“ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტას.

— საქართველოში როდის დაიწყება სასამართლო პროცესები, არ ვიცით. რაც შეეხება საერთაშორისო დავას, იურიდიულ კომპანიასთან ერთად ვამზადებთ მასალებს და, შესაბამისად, სექტემბერში უკვე წარვადგენთ ჩვენს სარჩელს, lჩშl -ში. ეს არის ბიზნესდავების განმხილველი სასამართლო, რომელსაც შიდა ინსტანციების ამოწურვის სავალდებულო მოთხოვნა არ აქვს. შესაბამისად, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შესაძლებელია დავის დაწყება, — განუცხადა „ბიზნესპრესნიუსს“ თამარ შუბითიძემ.

საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრი (ICSID) არის საერთაშორისო საარბიტრაჟო ინსტიტუტი, რომელიც 1966 წელს დაარსდა. მისი დანიშნულება არის საერთაშორისო საინვესტიციო დავების მოგვარება სახელმწიფოებსა და სხვა ქვეყნის მოქალაქეებს, კერძო ინვესტორებს შორის.

ICSID არის მსოფლიო ბანკის ჯგუფის ნაწილი და მის მიერვე ფინანსდება. შტაბ-ბინა ვაშინგტონში (აშშ) აქვს. ეს არის ავტონომიური, მრავალმხრივი, სპეციალიზებული დაწესებულება, რომლის მიზანიც, საერთაშორისო ინვესტიციების ნაკადისთვის ხელის შეწყობა და არაკომერციული რისკების შემცირებაა. მოქმედებს ხელშეკრულებით, რომელიც რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკის აღმასრულებელი დირექტორების მიერ არის შემუშავებული და წევრი ქვეყნების (სულ 161) მიერ არის ხელმოწერილი.

სწორედ ამ არბიტრაჟში შეაქვს „სითი პარკს“ და მის მიერ დაქირავებულ ბრიტანულ იურიდიულ კომპანიას Freshfields Bruckhaus Deringer LLP-ს სარჩელი თბილისის მერიის წინააღმდეგ.

შეგახსენებთ, თბილისის მერმა კახა კალაძემ განცხადება „სითი პარკის“ ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებით 13 მარტს გააკეთა. კომპანიას დედაქალაქის მერიამ ხელშეკრულებას 2018 წლის 10 აპრილიდან შეუწყვიტა და მის ფუნქციებს პარკირების ახალი სისტემის ჩამოყალიბებამდე თბილისის სატრანსპორტო კომპანია ასრულებს.

ამის შემდეგ კომპანია „სითი პარკმა“ თბილისის მერიის წინააღმდეგ ბრიტანული იურიდიული კომპანია Freshfields Bruckhaus Deringer LLP დაიქირავა.

მოგვიანებით თბილისის მერიამაც „სითი პარკთან“ შეწყვეტილი ხელშეკრულების გამო სამართლებრივი დავისთვის იურიდიული კომპანია დაიქირავა. ამ მომსახურებისთვის კი ჯერ ტენდერი გამოაცხადა, თავად მომსახურება კი 800 000 ლარია. კახა კალაძის უწყებას „სითი პარკთან“ დავაში მომსახურებას „ემ ჯი იურიდიული ოფისი“ გაუწევს.

**ბპნ**

# კომისიამ „სამოქალაქო აქტივების ცენტრის“ საჩივრის საფუძველზე „მიკრონეტი“ გააფრთხილა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ააიპ „სამოქალაქო აქტივების ცენტრის“ საჩივარი, რომელიც ინტერნეტ-მომსახურების ხარისხს ეხებოდა, ნაწილობრივ დააკმაყოფილა და შპს „მიკრონეტს“ წერილობითი გაფრთხილება მისცა.

— კომისიის მიერ საკითხის შესწავლის პროცესში, კომპანიას „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის, „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტისა და „ინტერნეტ-მომსახურების მიწოდების ხარისხის განსაზღვრისა და შემოწმების წესების“ მთელი რიგი დარღვევები დაუფიქსირდა. აღნიშნული სამართალდარღვევების გამო, კომისიამ შპს „მიკრონეტი“ წერილობით გააფრთხილა და სააბონენტო ხელშეკრულების პირობების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის ვადად ერთი თვე განუსაზღვრა, — აღნიშნულია კომისიის განცხადებაში.

**კომერსანტი**

## მაშველებმა მწვერვალ უშბიდან დაუდგენელი ვინაობის ორი პიროვნების გვამი ჩამოასვენეს



საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის განსაკუთრებულ სიტუაციებზე რეაგირების სამმართველოს მაშველებმა მწვერვალ უშბიდან დაუდგენელი ვინაობის ორი პიროვნების გვამი, შსს-ს სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენით ჩამოასვენეს

?შეტყობინება მყინვარწვერზე აღმოჩენილი ორი გვამის შესახებ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში 23 აგვისტოს შემოვიდა.

ბოლო დღეების განმავლობაში, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონიდან მთაში დაკარგული ან ჩარჩენილი პიროვნებების შესახებ შეტყობინება არ შემოსულა, შესაბამისად, მთაში სამძებრო-სამაშველო სამუშაოები არ მიმდინარეობდა

## ბათუმში ავტომანქანა დაიწვა



შემთხვევა ახალ ბულვარში მოხდა. ცეცხლის გაჩენის დროს BMW-ს მარკის ავტომობილი გაჩერებული იყო. ხანძრის შედეგად არავინ დაზიანებულა.

მომხდარზე საქმე 187-ე მუხლით აღიძრა. ეს მუხლი ცეცხლის შედეგად ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს.

## „ქურდებმა მხოლოდ კარის ჩამსხვრევა მოასწრეს" — „ზუმერის" მაღაზიის გაქურდვის მცდელობა თბილისში



23 აგვისტოს, გამთენიისას, დაახლოებით 6:30 საათზე, პეკინზე მდებარე „ზუმერის" ფილიალში ქურდობის მცდელობა დაფიქსირდა. ქურდებმა მხოლოდ კარის ჩამსხვრევა მოასწრეს, რადგან პოლიცია ცხელ კვალზე მივიდა. ინციდენტის ამსახველი ფოტოები „ნიუპოსტს" ფეისბუკმომხმარებელმა მოაწოდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ტექნიკის მაღაზია „ზუმერის" გაქურდვის ბრალდებით ერთი არასრულწლოვანი დააკავა, მეორე კი ამხილა – გამოძიება 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

## ცრუ ჩვენების მიცემაში ბრალდებული არასრულწლოვანი პატიმრობაში რჩება



ხორავას ქუჩაზე, მოზარდების მკვლელობის საქმეზე ცრუ ჩვენებისთვის დაკავებული არასრულწლოვანი საქალაქო სასამართლომ პატიმრობაში დატოვა.

წინასასამართლო სხდომაზე, რომელიც 24 აგვისტოს გაიმართა, ადვოკატები ბრალდებულისთვის აღკვეთი ღონისძიების შეცვლას ითხოვდნენ. მოსამართლემ დაცვის მხარის მოთხოვნა არ გაითვალისწინა.

დაცვის მხარე სასამართლოს არასრულწლოვანთა კოდექსის უგულებელყოფაში ადანაშაულებს. დაკავებულს პროკურატურა ცრუ ჩვენების მიცემას ედავება.

## ესპანეთში ძარცვაში ეჭვმიტანილი საქართველოს 3 მოქალაქე დააკავეს



ესპანეთში ძარცვაში ეჭვმიტანილი საქართველოს 3 მოქალაქე დააკავეს. ესპანეთის ქალაქ კორდობაში პოლიციამ დააკავა საქართველოს 3 მოქალაქე, რომელიც ძარცვაშია ეჭვმიტანილი. ამის შესახებ ესპანური მედია წერს.

პოლიციის ინფორმაციით, დაკავებული ბოროტმოქმედები ჯგუფურად მოქმედებდნენ და ძარცვავდნენ სახლებს ესპანეთის სამხრეთში მდებარე სხვადასხვა ქალაქებში, მათ შორის კორდობასა და სევილიაში.

– მძარცველებს განსაკუთრებული ტაქტიკა ჰქონდათ შემუშავებული. ისინი სხვადასხვა სახლების შესასვლელებში, საკეტებზე სპეციალურ გამჭვირვალე ფირს აკრავდნენ და რამდენიმე დღის შემდეგ ამავე სახლებში ბრუნდებოდნენ. თუ ფირი დაუზიანებელი რჩებოდა, ეს იმაზე მიუთითებდა, რომ სახლში ამჟამად არავინ ცხოვრობს და მისი ძარცვა უფრო უსაფრთხო იყო, – წერს ესპანური მედია.

## პრეზიდენტი უზენაესი სასამართლოს კანდიდატს აღარ დაასახელებს

პრეზიდენტი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატს აღარ დაასახელებს. პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა გიორგი აბაშიშვილმა განაცხადა, რომ კონსენსუსის არარსებობის პირობებში კანდიდატის დასახელება აზრს მოკლებულია:



– იმ ფონზე, როდესაც „ქართული ოცნება" ღიად აცხადებდა, რომ ის არ მიიღებდა კონსულტაციებში მონაწილეობას, ანუ პარლამენტში კანდიდატურის დამტკიცების ერთადერთი შესაძლებლობა იყო ფართო კონსენსუსი. სამწუხაროდ, ეს ფართო კონსენსუსი ვერ მოხერხდა. ფართო კონსენსუსის გარეშე კანდიდატურის დასახელება იქნებოდა დასახელება დასახელებისთვის, კანდიდატურა კანდიდატურისთვის და არა შედეგზე ორიენტირებული, – აღნიშნა გიორგი აბაშიშვილმა.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატის გამო გამართული ფინალური კონსულტაცია 20 აგვისტოს შეთანხმების გარეშე დასრულდა. პრეზიდენტი და საზოგადოებრივი ჯგუფების წარმომადგენლები ვერ შეთანხმდნენ კანდიდატის შერჩევის ფორმაზე.

შეხვედრის დასრულების შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები ამბობდნენ, რომ შეთანხმება ვერ შედგა. არასამთავრობო სექტორი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტმა უნდა დაასახელოს კანდიდატები, ხოლო კანდიდატების შეფასებას მიაწვდიან პრეზიდენტის ადმინისტრაციას. იდეას იმასთან დაკავშირებით, რომ თავად შესთავაზონ პრეზიდენტს სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატები, არასამთავრობო სექტორი არ ეთანხმება.

იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი არ დაასახელებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატს, 28 ოქტომბრიდან, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, ახალი კონსტიტუცია შევა ძალაში. ახალი კონსტიტუციის თანახმად, სასამართლოს ხელმძღვანელის შერჩევის პროცესში პრეზიდენტი აღარ მონაწილეობს. მას იუსტიციის უმაღლესი საბჭო შეარჩევს და დასამტკიცებლად პარლამენტს წარუდგენს.

## ნინო ლომჯარია: „პრეზიდენტს უნდა გამოეყენებინა ყველა გზა, რომ კონსენსუსი მიღწეულიყო"



სახალხო დამცველის, ნინო ლომჯარიას თქმით, პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს უნდა გამოეყენებინა ყველა გზა, რათა მიღწეულიყო კონსენსუსი და მას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე დაესახელებინა, მიუხედავად უმრავლესობის შესაძლო რეაქციისა.

– პრეზიდენტს უნდა გამოეყენებინა ყველა შესაძლებლობა და ყველა გზით უნდა ეცადა, რომ მიღწეულიყო კონსენსუსი. პრეზიდენტს უნდა დაესახელებინა კანდიდატურა, მიუხედავად იმისა, რა შეიძლებოდა ამას მოჰყოლოდა უმრავლესობის მხრიდან.

ჩემი პოზიცია არის, რომ უკეთესი იქნებოდა იმ ვითარებაში, როდესაც სასიცოცხლოდ სჭირდება ქვეყანასა და სასამართლო სისტემას ძლიერი, დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, პრეზიდენტს ეს პროცესი გაეგრძელებინა, – განაცხადა ნინო ლომჯარიამ „რუსთავი 2"-ის ეთერში.

## ბათუმის პორტში 13154,4 ლარის ღირებულების არადეკლარირებული ტვირთი აღმოაჩინეს



ბათუმის პორტში 13154,4 ლარის ღირებულების არადეკლარირებული ტვირთი აღმოაჩინეს. როგორც „ინტერპრესნიუსს" შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, საბაჟო გამშვებ პუნქტში „ბათუმის პორტი" ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, 20 აგვისტოს, ფრანგული სანომრე ნიშნით საქართველოს მოქალაქის რ.ტ.-ს სახელზე შემოსული, მცირე სატვირთო ავტომანქანის დათვალიერებისას არადეკლარირებული საქონელი, კერძოდ: სხვადასხვა კოსმეტიკური საშუალებები, ასევე ალკოჰოლური სასმელები, მეორადი ტანსაცმელი აღმოაჩინეს. ტვირთის საბაჟო ღირებულებამ 13154,4 ლარი შეადგინა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289 მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, მოქალაქეს სანქციის სახით 13154,4 ლარის ოდენობით ფულადი ჯარიმა შეეფარდა.

## თბილისში ყველაზე დაბინძურებული ჰაერი „ტექნიკურ უნივერსიტეტთან", ავლაბრის მოედანთან, მელიქიშვილის ქუჩასა და რუსთაველის გამზირზეა



კვლევის მიხედვით, თბილისში ყველაზე დაბინძურებული ჰაერი „ტექნიკურ უნივერსიტეტთან", ავლაბრის მოედანთან, მელიქიშვილის ქუჩასა და რუსთაველის გამზირზეა. თბილისის რამდენიმე ქუჩაზე ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელი ნორმას აჭარბებს. ჰაერში აზოტის დიოქსიდის კონცენტრაციების მნიშვნელობების და ჰაერის ხარისხის შესაბამისი ინდექსების მიხედვით, აზოტის დიოქსიდის ნორმაზე გადაჭარბების მაჩვენებელი თბილისში დაფიქსირდა, მეტროსადგურ „ტექნიკურ უნივერსიტეტთან", ავლაბრის მოედანთან, მელიქიშვილის ქუჩასა და რუსთაველის გამზირზე.

რაც შეეხება სხვა ქალაქებს, ბათუმში, ქუთაისში, ზესტაფონში, ხაშურში, რუსთავსა და თელავში ასევე დაფიქსირდა აზოტის დიოქსიდის, როგორც დაბალი ინდექსი, ასევე ზოგიერთ წერტილში ნორმაზე გადაჭარბების შემთხვევებიც.

ცნობისთვის, ინდიკატორული მილაკები საქართველოს მასშტაბით განთავსებული იყო 25 ქალაქში – თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ზესტაფონში, რუსთავში, თელავში, გორში, ახალციხეში, ზუგდიდში, კასპში, მცხეთაში, ოზურგეთში, ფოთში, სამტრედიაში, სენაკში, საჩხერეში, ლანჩხუთში, ტყიბულში, ჭიათურაში, ხაშურში, მარნეულში, ბოლნისში, სიღნაღში, ყაზბეგსა და ჩხოროწყუში.

აღნიშნული მონაცემები ივნისში ჩატარებულ გაზომვას ასახავს. მომავალი გაზომვა კი სექტემბერში იგეგმება.

## დავით მათიკაშვილი: „ეს არის მარტო დარჩენილი პრეზიდენტის უპასუხისმგებლო ნაბიჯი"

– ეს პრეზიდენტის მხრიდან არის კიდევ ერთი უპასუხისმგებლო ნაბიჯი, როდესაც მან კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებაზე უარი თქვა, – ასე აფასებს საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის წევრი დავით მათიკაშვილი პრეზიდენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც, გიორგი მარგველაშვილი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატს პარლამენტს აღარ წარუდგენს.

როგორც მათიკაშვილი აცხადებს, პრეზიდენტმა გადაწყვიტა „რაღაც სხვა პარალელური პროცესის გამართვა", რაც მისი მხრიდან არასწორი ნაბიჯია.

– პრეზიდენტი, ფაქტობრივად, დარჩა მარტო. ეს პრეზიდენტის მხრიდან არის კიდევ ერთი უპასუხისმგებლო ნაბიჯი, როდესაც მან კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებაზე თქვა უარი. ის არის მცდარი მოსაზრება, რომ „ქართული ოცნება" არ აპირებდა კონსულტაციებში მონაწილეობას. ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ დავფიქრდებით კონსულტაციებზე, უბრალოდ ჩვენ სკეპტიკურად ვუყურებდით კონსულტაციებს, რადგან პრეზიდენტის პრაქტიკა სასამართლოსთან მიმართებაში გვეუბნება იმას, რომ როგორც წესი, ის ან საკუთარ თანამშრომლებს წარადგენდა, ან მასთან დაახლოებულ პირებს. აქედან გამომდინარე იყო ჩვენი სკეპტიციზმი და არა უარი კონსულტაციებში მონაწილეობაზე. კიდევ ერთხელ ვამბობ, ეს არის უპასუხისმგებლო ნაბიჯი მარტო დარჩენილი პრეზიდენტის. ასევე ხაზგასასმელია ის, რომ მან ეს უპასუხისმგებლო ნაბიჯი გადადგა კონსტიტუციის დღეს, როდესაც საზოგადოებას ეცნო და ბეჭდური სახით წარედგინა კონსტიტუციის ახალი რედაქცია. დღევანდელ დღეს რაღაც სხვა პარალელური პროცესის გამართვა მისი მხრიდან არის არასწორი ნაბიჯი. ცხადია, ის იყო დაპატიჟებული დღევანდელ ღონისძიებაზე, მაგრამ იქ, სადაც მთელი ქართული საზოგადოება არის შეკრებილი, არ არჩია ყოფნა და გადაწყვიტა პარალელური პროცესის გამართვა, რაც არ არის მისაღები, – განაცხადა მათიკაშვილმა.

რაც შეეხება უზენაესი სასამართლოს ახალი თავმჯდომარის არჩევის პროცესს, როგორც მათიკაშვილმა განმარტა, კონსტიტუციის ახალი რედაქციის ამოქმედების შემდეგ, თავმჯდომარეობის კანდიდატს იუსტიციის უმაღლესი საბჭო წარადგენს, ხოლო ახალი თავმჯდომარის არჩევა პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ მოხდება.

## ოკუპირებული „სამხრეთ ოსეთი" საქართველოსთან ე.წ. საზღვარს სამი დღის განმავლობაში ჩაკეტავს

ოკუპირებული „სამხრეთ ოსეთი" ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარების ზეიმთან დაკავშირებით, საქართველოსთან ე.წ. საზღვარს სამი დღის განმავლობაში ჩაკეტავს. ამის შესახებ ინფორმაციას დე ფაქტო სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი ავრცელებს.

– სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარების 10 წლისთავთან დაკავშირებული საზეიმო ღონისძიებების გამო, 24 აგვისტოს 20:00 საათიდან საქართველოსთან სახელმწიფო საზღვარზე გამარტივებული გადაკვეთის პუნქტებზე დროებით შეჩერდა მოქალაქეების გაშვება, – ნათქვამია დე ფაქტო უწყების განცხადებაში.

დე ფაქტო სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში ასევე აცხადებენ, რომ აღნიშნული პუნქტები მუშაობას 27 აგვისტოს 06:00 საათიდან განაახლებენ.

# უკრაინამ დამოუკიდებლობის 25-ე წლისთავი აღნიშნა



უკრაინის დამოუკიდებლობის 25-ე წლისთავის აღნიშვნა 24 აგვისტოს ლოცვით დაიწყო. კიევის სოფიის ტაძარში უკრაინაში მოქმედმა ყველა კონცესიის წარმომადგენელმა სამშობლოსთვის წირვა აღავლინა.

ხრეშჩატიკზე სამხედრო აღლუმი გაიმართა, რომელიც უკრაინის თავდაცვის მინისტრმა, გენერალმა სტეპან პოლტორაკმა მიიღო. უკრაინის დედაქალაქის მთავარ მოედანზე ოფიციალურ დონეზე პირველად გაისმა მისალმება: „დიდება უკრაინას!“ ასე მიესალმა პოლტორაკი ხრეშჩატიკზე გამწკრივებულ ჯარისკაცებს. პასუხად გაისმა: „გმირებს დიდება!“

პეტრო პოროშენკომ შეკრებილთ სიტყვით მიმართა. პრეზიდენტმა მოიყვანა ციტატა ბანდერელთა ჰიმნიდან: „ჩვენ დავიბადეთ დიდებულ საათს!“ პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ დამოუკიდებლობა უკრაინელი ხალხის არჩევანია, რაც განსაკუთრებით დონბასის ომმა წარმოაჩინა. რუსეთის ყველა მცდელობა, გაეხლიჩა უკრაინა, ამაო გამოდგა.

— მომავალშიც ჩვენი ხალხი თავისუფლებისა და დემოკრატიის სადარაჯოზე მტკიცედ იდგება, — განაცხადა პრეზიდენტმა.

დასასრულ ხრეშჩატიკზე სამხედრო აღლუმი გაიმართა. უკრაინელებთან ერთად აღლუმში მონაწილეობა მიიღეს აშშ-ის, ინგლისის, კანადის, პოლონეთის, რუმინეთისა და საქართველოს არმიების წარმომადგენლებმაც.

— უკრაინას არა მხოლოდ ბრძოლისუნარიანი არმია ჰყავს! ჩვენს ქვეყანას უდიდესი საერთაშორისო მხარდაჭერაც გააჩნია, — განაცხადა პოროშენკომ.

# „ამერიკული სანქციები კონტრპროდუქტიულია“



## ლავროვი პომპეოს დაუკავშირდა

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი თავის ამერიკელ კოლეგა მაიკ პომპეოს დაუკავშირდა. საუბრის ძირითადი თემა აშშ-ის მიერ რუსეთის მიმართ ამოქმედებული ახალი სანქციები იყო.

ლავროვი აშკარად გაღიზიანებული იყო. საუბარმაც დაძაბულ ვითარებაში ჩაიარა.

ლავროვმა აშშ-ის მიერ შემოღებულ დამატებით სანქციებს კონტრპროდუქტიული უწოდა და განაცხადა, რომ ეს რუსეთსა და აშშ-ს შორის ვითარების ნორმალიზაციას შეუძლებელს ხდის. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯაშუშობისათვის დაპატიმრებულ მარია ბუტინას საკითხიც მოიშველია.

— ბუტინა არავითარი ჯაშუში არ არის! ის უსაფუძვლოდ არის დაკავებული და მის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოვითხოვთ! — თქვა ლავროვმა.

# პუტინმა ბელორუსში ახალი ელჩი დანიშნა



პრეზიდენტ პუტინის ბრძანებით ბელორუსში ახალი ელჩი დაინიშნა. ეს პოსტი მიხეილ ბაბიჩმა დაიკავა.

ბაბიჩი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეა. მან ორი უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა, რიაზანის სამხედრო სასწავლებელი და მოსკოვის იურიდიული ინსტიტუტი.

ბაბიჩი რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსის გაერთიანების მხურვალე მომხრეა. პუტინს სურდა მისი უკრაინაში ელჩად დანიშვნა, მაგრამ თვით პრეზიდენტმა იანუკოვიჩმაც კი ამაზე უარი განაცხადა. მიზეზი ბაბიჩის ტელეინტერვიუ იყო:

— იმედი მაქვს, უკრაინაში რუსეთის უკანასკნელი ელჩი ვიქნები! მალე რუსეთი, უკრაინა და ბელორუსი ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში გაერთიანდებიან და ელჩებიც საჭირონი აღარ იქნებიან!

უკრაინელებმაც ბაბიჩის ელჩად დანიშვნაზე უარი თქვეს. სამაგიეროდ, ბელორუსის პრეზიდენტი ლუკაშენკო ამას უდრტვინველად დაჰყაბულდა.

# „ევროკავშირში საწევროს აღარ გადავიხდით!“

## იტალიის პრემიერი ბრიუსელს დაემუქრა




იტალიის პრემიერი ლუიჯი დი მაურო აცხადებს, რომ მისი ქვეყანა მიგრაციული კრიზისის ეპიცენტრში იმყოფება.

დი მაურომ დახმარებისთვის ბრიუსელს მიმართა.

— თუ ბრიუსელი მიგრანტების კრიზისის გადაჭრაში არ დაგვეხმარა, იძულებულნი გავხდებით, შევწყვიტოთ ევროკავშირში საწევროს შეტანა, — განაცხადა პრემიერმა.

ვითარება განსაკუთრებით მას შემდეგ გამწვავდა, რაც იტალიის სანაპირო დაცვამ ზღვიდან 177 მიგრანტი ამოიყვანა და დახრჩობას გადაარჩინა.

თავდაპირველად მიგრანტებს მალტაში გაგზავნას უპირებდნენ, მაგრამ მალტელებმა ამაზე უარი თქვეს. ბოლოს გემი სიცილიას მოადგა. აქ საქმეში იტალიის მთავრობა ჩაერია და მიგრანტების ქვეყანაში შემოშვებაზე კატეგორიული უარი თქვა.

— მიგრანტები დღეს ევროპის საერთო პრობლემაა და, თუ ევროკავშირს ამ პრობლემის გადაჭრაში ჩვენი დახმარება არ შეუძლია, ისმის კითხვა: რატომ ვიხდით საწევროს, — ამბობს დი მაურო.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# მამა შვილის გადასარჩენად დათვს შეებრძოლა

მალაიზიაში მამამ შვილი იშვიათი სახეობის დათვის თავდასხმისგან იხსნა, თავად კი საავადმყოფოში აღმოჩნდა.

ინციდენტი საბახის შტატის ქალაქ ტონგოდის მახლობლად, ერთ-ერთ სოფელში მოხდა. 58 წლის ჯექსონ იონგკი ბრინჯს თესავდა თავის 15 და 17 წლის შვილებთან ერთად, როდესაც მათ მალაიური დათვი მიუახლოვდა.



— ცხოველი შეეცადა, თავს დასხმოდა ჩემს შვილს. დიდხანს არ მიფიქრია და დათვს ჯოხი ჩავცხე, რომელიც იმ დროს ხელში მეჭირა, — განაცხადა იონგკიმ.

ამის შემდეგ ისინი შეეცადნენ, გაქცეულიყვნენ, მაგრამ მამას ფეხი ტალახში ჩაეფლო და წაიქცა, დათვმა კი მას მეორე ფეხზე უკბინა და ტყეში გაუჩინარდა. შვილებმა მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს. იქ მას ჭრილობა დაუმუშავეს, შეუხვიეს და სახლში გაუშვეს.

იონგკიმ აღიარა, რომ დათვისთვის ჯოხი მთელი ძალით არ ჩაურტყამს, ვინაიდან ეს სახეობა სახელმწიფო დაცვის ქვეშ იმყოფება. მან იმედი გამოთქვა, რომ ცხოველი მიხვდება, რომ სოფლის მცხოვრებლები მეტად აღარ უნდა შეაწუხოს.

# ქალი ალიგატორისგან ძაღლის გადარჩენას ემსხვერპლა

ამერიკის სამხრეთ კაროლინის შტატის ქალაქ ჰილტონ-ჰედ-აილენდში ალიგატორმა მოკლა ქალი, რომელიც ძაღლის გადარჩენას ცდილობდა.



რეპტილიის თავდასხმა აგარაკის მახლობლად მოხდა, სადაც 45 წლის კასანდრა კლაინი და მისი მეუღლე ცხოვრობდნენ. ქალი თავის ბორდერ-კოლისთან ერთად გოლფის სათამაშო მოედანზე სეირნობდა, როდესაც წყალსატევიდან ალიგატორი ამოვიდა და ძაღლს გაეკიდა. ქალი შინაური ცხოველის დასახმარებლად გაიქცა, მას იქვე მომუშავეც მიეხმარა. ამ დროს ალიგატორმა ძაღლს თავი ანება, კლაინს პირი სტაცა და წყალში ჩაითრია.

ამ ინციდენტის შედეგად ძაღლი არ დაშავებულა. ახლა მას ქალის მეზობელი უვლის. ალიგატორი, რომელმაც ქალი მოკლა, დაიჭირეს და მოკლეს. მისმა სიგრძემ 2,5 მეტრი შეადგინა.

მეზობლის თქმით, ალიგატორის თავდასხმის დროს საშხაპეში იმყოფებოდა და კივილის ხმა ფრინველის ყივილი ეგონა. ქალის მეუღლემ მისი დაღუპვის ამბავი მხოლოდ ნახევარი საათის შემდეგ გაიგო, როდესაც გარეთ გამოვიდა და ხალხის ბრბო შენიშნა.

# აგრესიული სპილო მანქანას თავს დაესხა და საქარე მინა ჩაუმსხვრია

შრი ლანკაში, ქალაქ კატარაგამას მახლობლად, აგრესიული სპილო თავს დაესხა მგზავრებიან ავტომობილს. აღნიშნულ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.



ცხოველმა მანქანას გზა გადაუღობა, მიუახლოვდა და საქარე მინა ჩაუმსხვრია. მომხდარი მანქანაში დამონტაჟებულმა ვიდეორეგისტრატორმა გადაიღო.

მანქანის მძღოლმა ცხოველის დანახვაზე უკუსვლა ჩართო, მაგრამ სპილო ავტომობილს გამოეკიდა. რამდენიმე წუთი დასჭირდა მძღოლს იმისთვის, რომ ცხოველის დევნისგან თავი დაეღწია და უსაფრთხო მანძილით დაშორებოდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



# განცხადებები

### სხვადასხვა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამადანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი — სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ვლადიმერ ბოისამ მეღვინეობა დაიწყო

## „მთავარი სახელი კი არა, ხარისხია"

30 აგვისტოს სლოვენიის დედაქალაქ ლიუბლიანაში მსოფლიო დონის კალათბურთის ვარსკვლავები შეიკრიბებიან. ამხანაგურ, გასაცილებელ მატჩში ერთმანეთს ცნობილი სლოვენიელი კალათბურთელების – სანი ბეჩიროვიჩისა და ბოსტიან ნახბარის გუნდები დაუპირისპირდებიან. ეს ვარსკვლავები კალათბურთიდან გასაცილებელ მატჩს თამაშობენ და მოწვეულ ვარსკვლავთა შორის იქნება საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი წევრი, ამჟამად საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვიცეპრეზიდენტი ვლადიმერ ბოისა.

თუმცა, ბოისამ სლოვენიელი ჟურნალისტები უფრო სხვა კუთხით დააინტერესა. საქმე ის არის, რომ საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების ყოფილმა წევრმა კარიერის დასრულების შემდეგ მეღვინეობას მიჰყო ხელი – აწარმოებს წითელ და თეთრ ღვინოებს სახელწოდებით – ბოისა.

გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც სლოვენიურ მედიაში გამოქვეყნდა.

***– რამ გადაგაწყვეტინათ კალათბურთიდან მეღვინეობაში გადასვლა?***

– სპორტსა და ალკოჰოლური სასმელების წარმოებას შორის კავშირის პოვნა მართლაც რთულია. უბრალოდ, მინდოდა, მქონოდა საკუთარი ღვინო, საკუთარი წარმოება. ეს რომ გავაკეთე, კონიაკის ჩამოსხმის სურვილიც გამიჩნდა.

***– ქართველები ცნობილი არიან თავისი კონიაკით. მისი გულშემატკივარი ბრძანდებით?***

– საქართველო ღვინით უფრო ცნობილია, ვიდრე კონიაკით. რაც შეეხება ჩემს მისწრაფებას, ღვინისა თუ კონიაკის დაგემოვნება ყოველთვის საინტერესო და სასიამოვნოა, თუმცა მაღალი ხარისხისა უნდა იყოს. მიხარია, რომ მაქვს საკუთარი წარმოების მსოფლიოს სტანდარტების შესაბამისი ბრენდი.



***– რამდენად მოქმედებს ხალხზე სახელწოდება „ბოისა"?***

– ამ ფაქტორმა, შესაძლოა, მართლაც იმოქმედოს, მაგრამ გადამწყვეტი მაინც ხარისხია. საქართველოში მეღვინეობა ახალ საფეხურზე ადის, პოპულარობას იძენს. ჩემს ქვეყანაში 500-ზე მეტი ჯიშის ყურძენია. მევენახეები უბრუნდებიან ღვინის ტრადიციული წარმოების მეთოდებს.

***– როგორც ჩანს, მევენახეობაში კარგად გაერკვიეთ.***

– საქართველოში ღვინოს 8 ათასი წლის წინათაც აყენებდნენ. საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა ტრადიციები, რითაც ჩვენ ძალიან ვამაყობთ. უცხოელები კი გვაღიარებენ და გვაფასებენ. ქართული მეღვინეობის ერთ-ერთი უნიკალური ტრადიციაა ღვინის ქვევრში დაყენება. ქვევრი თიხის ჭურჭელია, რომელშიც ღვინო განსაკუთრებულ გემოს იძენს.

***– როგორც ჩვენთვისაა ცნობილი, საქართველოში ბოლო დროს საკმარისად განვითარდა ღვინისა და კულინარიული ტურიზმი. ამ მიმართულებით სლოვენიამ შეიძლება ზოგი რამ საქართველოსგან ისწავლოს.***

– ამ მოსაზრებას ნაწილობრივ ვეთანხმები. სლოვენიაშიც კარგადაა განვითარებული მევენახეობა და კულინარიული ტურიზმი. რაც შეეხება ჩემს ქვეყანას, იქ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დიდი პრობლემები იყო, ხალხი გაჭირვებაში ცხოვრობდა და ტურიზმისთვის არავის ეცალა. მხოლოდ ბოლო წლებში გაკეთდა ბევრი რამ მეღვინეობის განვითარებისა და ტურისტების მოზიდვისთვის.

***– როგორც ვიცით, თქვენი ბრენდის სლოვენიაში შემოტანისას პრობლემები შეგექმნათ.***

– მართალია. პრობლემა მარშრუტმა შექმნა: თურქეთის გავლით საქართველოდან სლოვენიაში ალკოჰოლური სასმელების შეტანა იოლი სულაც არ აღმოჩნდა. ძვირიც დამიჯდა.

***– ცნობილია, რომ ზოგიერთი სპორტსმენი ალკოჰოლურ სასმელზე უარს არ ამბობს. საღამოობით თქვენც ხომ არ მიირთმევდით ერთ ჭიქა ღვინოს?***

– როდესაც აქტიური სპორტსმენი ხარ, დისციპლინა და რეჟიმის დაცვა აუცილებელია. მეც ძალიან იშვიათად მნახავდით ჭიქით ხელში.

***– სამომავლოდ რას გეგმავთ?***

– რადგან ღვინო უკვე სლოვენიაშია, მას მეტი რეკლამა სჭირდება. ვეცდებით, პირდაპირი კონტაქტი დავამყაროთ სლოვენიურ აუდიტორიასთან.

***– სლოვენიის გარდა, ცხოვრობდით იტალიაში. როგორ შეადარებდით იტალიურ და სლოვენიურ სმის კულტურას?***

– სლოვენიაში ბოლო 10 წლის განმავლობაში უპრეცედენტო პროგრესი განიცადა კულინარიულმა კულტურამ. ამას საკუთარი დაკვირვებით ვამბობ. სლოვენიაში ხომ პირველად 1998 წელს ჩამოვედი. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ იტალიურ კულტურას გადაუსწრო. აპენინურთან შედარებით, მაინც შორსაა.

# კრიშტიანუ რონალდუ: „ჩემი მიზანი გამარჯვებაა და არა სხვა ფეხბურთელებთან მეტოქეობა"

პორტუგალიელ ფეხბურთელ კრიშტიანუ რონალდუს ჩემპიონთა ლიგა ხუთჯერ აქვს მოგებული, აქედან ერთხელ მანჩესტერ იუნაიტედის შემადგენლობაში, ოთხჯერ კი – რეალის რიგებში.

ამჟამად იუვენტუსის თავდამსხმელმა განაცხადა, რომ ტურინული კლუბის შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგის მოგებას ისახავს მიზნად.

**კრიშტიანუ რონალდუ:**

– იუვენტუსის შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგის მოგება მსურს. ამ მიზანზე ვართ ორიენტირებული. ამ მიზნისკენ ეტაპობრივად მივალთ, შემდეგ კი ვნახავთ, ეს ამ თუ მომავალ სეზონში გამოგვივა. შევეცდებით, სერია ა-სთან ერთად იტალიის თასი მოვიგოთ და ჩემპიონთა ლიგაზე ტრიუმფისთვის ყველაფერი გავაკეთოთ.




***– რატომ აირჩიეთ იუვენტუსი?***

– იუვენტუსი ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია მსოფლიოში. გადაწყვეტილება დიდი ფიქრის შემდეგ მივიღე. იუვე იტალიაში საუკეთესო კლუბია, ჰყავს ძლიერი მწვრთნელი და ხელმძღვანელობა.

***– თქვენ უკვე ბევრი ტიტული გაქვთ. როგორ იცხოვრებთ 10-15 წლის შემდეგ?***

– ვცდილობ, მხოლოდ რეალობით ვიცხოვრო. ახლა ყველაფერი ნათელია – ფეხბურთით ვარ დაკავებული. ჯერ ახალგაზრდა ვარ და ძალიან მიყვარს გამოწვევები. სპორტინგი-მანჩესტერი-რეალი-იუვენტუსი – ეს ყველაფერი არა კარიერა, არამედ ოცნებაა. როდესაც ფეხბურთის თამაში დავიწყე, ვერასდროს ვიფიქრებდი, თუ ყველაფერი ასე განვითარდებოდა და ამდენ ინდივიდუალურ თუ საკლუბო ტიტულს მოვიგებდი. გამოწვევები ჩემი ცხოვრების ნაწილია.

***– მადრიდელთათვის სამწუხარო სანახავია, თუ როგორ ტოვებთ რეალს. ასე ფიქრობენ პორტუგალიელებიც. დარჩებით ნაკრებში?***

– სიმართლე გითხრათ, მოწყენილი არ ვარ. ახლა ტურინში ვარ – ეს კი დიდი კლუბია. ყველანაირი პატივისცემის გათვალისწინებით, ჩემი ასაკის ფეხბურთელები კარიერის გასაგრძელებლად ყატარსა და ჩინეთში მიდიან. მე კი კარიერის ამ მომენტში ბედნიერი ვარ ასეთ კლუბში გადასვლით. იუვენტუსის მადლობელი ვარ, რადგან ასეთი შანსი მომცა. ნაკრები? რა თქმა უნდა, გავაგრძელებ ჩემი ქვეყნისთვის მუშაობას. მე არასდროს შევაქცევ ზურგს. თუ შემეძლება კიდევ თამაში, ამას აუცილებლად გავაკეთებ.

***– იუვენტუსის მილიონობით ფანი დღეს ძალიან ბედნიერია. სამაგიეროდ, რეალის გულშემატკივრებმა მოიწყინეს. რას ეტყოდით მათ?***

– უკვე ვთქვი, რომ რეალში გატარებული 9 წელი დაუჯერებელი ისტორიაა. თუმცა, ახლა ჩემს ცხოვრებაში ახალი ნაბიჯი უნდა გადამედგა. მსურს, აბსოლუტურად ყველა გულშემატკივარს დიდი მადლობა გადავუხადო მთელი გულით. თუმცა, ახლა ცხოვრების შემდეგ ნაბიჯზე უნდა ვიყო კონცენტრირებული. მოტივირებული და კონცენტრირებული ვარ ჩემს ახალ გამოწვევაზე. მე ყოველთვის ვამბობ, რომ მებრძოლი ფეხბურთელი ვარ. ჩვეულებრივ, თავდაუზოგავად ვცდილობ, ფორმა შევინარჩუნო. თქვენ კარგად მოგეხსენებათ ჩემი სტატისტიკის შესახებ. ამასთან, ძალიან ამბიციური ვარ და მიყვარს ახალ სირთულეებთან შეჭიდება, რადგან არ მსურს მუდმივად კომფორტის ზონაში დარჩენა. მანჩესტერისა და მადრიდის გამოცდილების შემდეგ მსურს, ისტორია ტურინშიც დავწერო.




***– თქვენ ამბობთ, რომ გიყვართ გამოწვევები. ალეგრი ყოველთვის ამბობდა, რომ იტალიური ფეხბურთის მთავარი სირთულე ტაქტიკაა. ზოგჯერ ყველაფერი მოულოდნელად ხდება. თქვენ ამიტომაც აირჩიეთ იუვენტუსი?***

– ვიცი, რომ ეს რთული და ტაქტიკური ჩემპიონატია. თუმცა, მიყვარს ახალი გამოცდილების მიღება. ვიცი, რომ ყველაფერი რთულად იქნება, მაგრამ მთელი კარიერის განმავლობაში ვცდილობდი, ახალი გამოწვევები და სირთულეები საკუთარ თავშივე დამეძლია. არ მიყვარს ჯდომა და წარმატების მიღება. მსურს, ყველაფერს ჩემით მივაღწიო. ამისთვის უკან არ დავიხევ. საკუთარ თავში დარწმუნებული ნამდვილად ვარ.

***– იუვენტუსის გულშემატკივრები ჩემპიონთა ლიგის ჰიმნს მღერიან. ეს მათი ოცნებაა, თქვენ კი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ხართ იმისა, თუ რატომაც ვერ მოიგეს მათ გასულ წლებში ეს ტიტული. გულშემატკივრებს ჩემპიონთა ლიგის მოგების დიდი იმედი გაუჩნდათ. თქვენ რას იტყვით ამ ფაქტზე?***

– რა თქმა უნდა, ჩემპიონთა ლიგა არის ტიტული, რომლის მოგებაც ნებისმიერ კლუბს სურს. თუმცა, ჩვენ მხოლოდ ამ ტიტულისთვის არ ვიბრძოლებთ. აუცილებლად უნდა ვიყოთ კონცენტრირებულნი სერია ა-ზეც. ნებისმიერ შემთხვევაში კონკურენცია ძალიან დიდია და ჩემპიონთა ლიგის მოგება ძალიან რთული იქნება. იუვენტუსს აქამდე ეს არ გამოსდიოდა, ხშირად ფინალში გადიოდა, მაგრამ ეს არაფრის გარანტიას არ იძლევა. ვიმედოვნებ, რომ კლუბისთვის ბედნიერების მომტანი გავხდები.

***– ბევრი გულშემატკივარი დარწმუნებულია, რომ თქვენი ოვაცია იუვენტუსთან მატჩში ერთ-ერთი მიზეზია, თუ რატომაც ხართ ტურინში. ასეა? ადრე ბევრჯერ გიფიქრიათ იუვენტუსში გადასვლაზე?***

– ეს მართლაც დაუჯერებელი მომენტი იყო ჩემთვის, რადგან ყოველთვის სასიამოვნოა დამატებითი მოტივაციის მიღება, რათა ყველაფერი ახლიდან, ახალ კლუბში დაიწყო. ამიტომაც მადლობელი ვარ გულშემატკივრების, რომლებიც მხარს მიჭერენ და ჩემ გვერდით დგანან. ვიმედოვნებ, რომ ისინი მიიღებენ იმას, რასაც იმსახურებენ. მე კიდევ ერთხელ დიდ მადლობას ვუხდი მათ, ვინც დილიდან აეროპორტში მოვიდა და ასე კარგად მიმიღო.

***– თქვენ ახლა 33 წლის ხართ. როგორ გრძნობთ თავს? შეძლებთ კვლავ ოპტიმალურ ფორმაში ყოფნას?***

– არ მსურს ამაზე ფიქრი. ფიზიკურად, მენტალურად და ემოციურად ყველაფერი წესრიგში მაქვს. ამიტომაც ვამაყობ, რომ აქ ვარ. არ ვარ იმ კატეგორიის ფეხბურთელი, რომელიც 33 წლის ასაკში კარიერის დასრულებაზე ფიქრობს. მსურს დავამტკიცო, რომ სხვანაირი ვარ. ამიტომაც ჩემთვის ძალიან ემოციურია ის ფაქტი, რომ ამ კლუბში მიხილავენ, როგორც 33 წლის ფეხბურთელს.

***– მხოლოდ იუვენტუსმა შემოგთავაზათ კონტრაქტი?***

– ამ ფაქტზე არ დავფიქრებულვარ. საერთოდაც, კი, მხოლოდ იუვენტუსი იყო.

***– თქვენ თქვით, რომ ასაკი არც ისეთი მნიშვნელოვანია. 2022 წელს, როდესაც იუვენტუსთან კონტრაქტი დაგიმთავრდებათ, 37 წლის იქნებით. დაბრუნდებით სპორტინგში?***

– სპორტინგი ყოველთვის ჩემს გულშია, მაგრამ იუვენტუსში ახალი წარმატებების მიღწევა მსურს. როგორც უკვე მოგახსენეთ, რეალობით ვცხოვრობ, ასე რომ, წინასწარ არაფრის განსაზღვრა არ შემიძლია. ნებისმიერ შემთხვევაში სპორტინგის გულშემატკივრების ხელახლა ხილვა ურიგო ნამდვილად არ იქნებოდა.

***– ფიქრობთ, რომ იუვენტუსში შეგეძლებათ, კიდევ ერთი „ოქროს ბურთი" მოიგოთ?***

– წარმოდგენა არ მაქვს. თუ ყველაფერი კარგად ჩაივლის, რატომაც არა? ვინ იცის, შესაძლოა, კვლავ მივიღო ეს ჯილდო.

***– ჩვენ ვიაზრებთ, თუ რაოდენ ბევრი რამის მიცემა შეგიძლიათ იუვენტუსისთვის, მაგრამ იუვენტუსი რას მოგცემთ თქვენ?***

– იუვენტუსმა დიდებული შანსი უკვე მომცა, რისთვისაც მადლიერი ვარ. ეს წინ გადადგმული ნაბიჯია. ვხედავ, რომ იუვენტუსი არის კლუბი, რომელსაც ძალიან ბევრი წარმატების მიღწევა შეუძლია. თასები, სერია ა, ჩემპიონთა ლიგის ფინალი – ვიამაყებდი, ამ ყველაფრის ნაწილი რომ ვყოფილიყავი, თუმცა წინ ახალი გვერდი და ცარიელი ფურცელია. ყველაფერი ჩვენს ხელშია და ისტორია უნდა დავწეროთ.

***– თქვენთვის იტალიაში თამაში პირველი გამოცდილება იქნება, ანჩელოტი კი იქ დაბრუნდა. უკვე ეკონტაქტეთ მას?***

– არა, ჩვენ არ გვისაუბრია. თუმცა, მე მომწონს მასთან მუშაობა. ერთად დიდი ხანია არ გვიმუშავია, როცა ვხვდებით, ბევრ რჩევას ვიღებ, ის ჩემი ცხოვრების ნაწილია. ჩემი კარიერის განმავლობაში ის ყოველთვის მხარს მიჭერდა, ასე რომ, მისი ნახვით ყოველთვის გახარებული ვარ.

***– როგორია თქვენი მოლოდინი? თქვენი და მესის კონკურენცია ფეხბურთის ნაწილია, თუმცა რას ფიქრობთ იტალიური ფეხბურთის ვარსკვლავებთან: იკარდისთან, ჯეკოსთან და სხვა მოთამაშეებთან მეტოქეობაზე?***

– ფეხბურთელებში კონკურენტებს არ ვხედავ – მე ასე არ ვცხოვრობ. მე მსურს გამარჯვება, ყოველი მატჩის მოგება, აი, ეს არის ჩემი მიზანი და არა სხვა ფეხბურთელებთან მეტოქეობა. ყველა საუბრობს ჩემ და მესის მეტოქეობაზე, თუმცა ყველას თავისი მატჩი აქვს. ყველაფერს გავიგებთ ბოლოს, ვინ არის უფრო უკეთესი.

***– თითქმის 10 წელი გაატარეთ მადრიდში. ახლა თქვენი ცხოვრება შეიცვალა. როგორ გრძნობთ თავს?***

– ბრწყინვალედ. ყველაფერი რთული იქნება, რადგან ჩემპიონატი სირთულეებითაა აღსავსე. მიუხედავად ამისა, იუვე მზადაა, მე მზად ვარ, ასაკს არ აქვს მნიშვნელობა.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## მამის რისხვას გამოქცეულმა ბიჭმა ათასი კილომეტრი მანქანის ძარის ქვეშ დამალულმა გაიარა

ჩინეთში ბიჭმა რვა საათი გაატარა დიდი სატვირთო მანქანის ძარის ქვეშ, რათა სოფლიდან ბებიას გამოჰქცეოდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ჩინური გამოცემა ავრცელებს.

ლტოლვილი ბავშვი ხუნანის პროვინციის ქალაქ მილოში დააკავეს. ცხრა წლის ბიჭმა დაახლოებით ათასი კილომეტრი გაიარა 18-ბორბლიანი სატვირთოს უკანა ხიდის მახლობლად, ძარის ჩარჩოს ჩაფრენილმა. მძღოლმა ის მხოლოდ მაშინ აღმოაჩინა, როდესაც დანიშნულების ადგილზე, ქარხანაში მივიდა.

თავდაპირველად ბავშვმა, მიუხედავად მძღოლისა და ქარხნის თანამშრომლების თხოვნისა, თავისი თავშესაფრის დატოვებაზე უარი თქვა. საბოლოოდ მისი იქიდან გამოყვანა მაინც მოხერხდა, მაგრამ ის კითხვებზე არ პასუხობდა. ბავშვი პოლიციელებმა წაიყვანეს, რომლებიც მისი ოჯახის ძებნას შეუდგნენ. მალე მან საკუთარი სახელი – სიაონენი, დაასახელა, შემდეგ მამის გვარი და მისი ტელეფონის ნომერიც თქვა. ასევე პოლიციას დაუ-



კავშირდა მასწავლებელი, რომელმაც ბავშვის ფოტოსურათი ახალი ამბების გამოშვებაში ნახა და იცნო.

გაირკვა, რომ ბავშვის მშობლები ერთმანეთს დაშორდნენ და ის სოფელში ბებიასთან ცხოვრობდა, მამამისი კი ფულს ქალაქში მუშაობით შოულობდა. ბიჭის მამის თქმით, მას ალბათ დედის სიყვარული და ალერსი აკლია და თავს მარტოსულად გრძნობს. ასევე მან აღიარა, რომ გაქცევამდე მცირე ხნით ადრე ის ბავშვს ბებიის იხვის მოკვლის გამო ეჩხუბა.

## ბისექსუალ ბატს ძეგლს დაუდგამენ

ახალ ზელანდიაში ძეგლს დაუდგამენ ბატ ტომასს, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში გედთან ერთად ცხოვრობდა, შემდეგ მას შთამომავლობის გაზრდაში დაეხმარა.



ესკურსიამძღოლი ორინტოლოგი მიკ პერიერი გამოვიდა ინიციატივით, ფრინველს ძეგლი დაუდგან.

– ეს შთამბეჭდავი ისტორიაა, ხოლო ქანდაკება შესაძლოა ქალაქის სავიზიტო ბარათად იქცეს, – აღნიშნა მან. ადგილობრივებმა მის ინიციატივას მხარი დაუჭირეს. მხატვარმა ეილინ ტომასმა ძეგლის ესკიზი დახატა და მისი ბრინჯაოში ხორცშესხმა 80 ათას ახალზელანდიურ დოლარად შეაფასა.

კუნძულ კაპიტის ხელმძღვანელმა კეი გურუნტენმა განაცხადა, რომ მოთხოვნა ოლქის კულტურის უწყებაში გადააგზავნა. თუ ისინი პროექტს შეათანხმებენ, ძეგლი სახელმწიფო დაფინანსებით დაიდგმება, ხოლო თუ არა, მაშინ საჭირო თანხის შეგროვება თავად მოუწევთ.

– ნებისმიერ შემთხვევაში კაპიტი ამ ისტორიით იამაყებს და მიმაჩნია, რომ ჩვენ ის უნდა უკვდავვყოთ. ჩემი აზრით, აუცილებლობის შემთხვევაში საჭირო თანხას უეჭველად შევაგროვებთ, – განაცხადა ჩინოსანმა.

## „კარგი ბიჭის პოზამ“ სხვის სახლში მყოფი შოტლანდიელი დაპატიმრებას გადაარჩინა

შოტლანდიელმა თავდავიწყებით იზეიმა მეგობრის შვილის დაბადება და, სხვის სახლში შესული, დასაძინებლად მიწვა.



ინციდენტი შოტლანდიის ქალაქ გლაზგოში მოხდა. 26 წლის ტომას ერლიმ უზომო რაოდენობის ალკოჰოლის მიღების შემდეგ ვერ გაიხსენა, სად ცხოვრობდა, ამიტომ ტაქსი გამოიძახა და მძღოლს მშობლების სახლის ძველი მისამართი დაუსახელა. მას აღარ ახსოვდა, რომ ისინი ორი წლის წინ სხვაგან გადავიდნენ საცხოვრებლად. მას დაძინება სურდა, ამიტომ, როდესაც ტაქსიდან გადმოვიდა და სახლში შევიდა, იქ ცვლილებები ვერ შენიშნა. სანამ დასაძინებლად დაწვებოდა, ერლი სამზარეულოში შევიდა, მაცივრიდან წვენი გამოიღო, დალია, შემდეგ ფეხზე გაიხადა და დაწვა.

სახლის დიასახლისი, 43 წლის ცეკვის მასწავლებელი ელეინ მაკდეიდი, ამ დროს შვილებთან ერთად საძინებელ ოთახში ტელევიზორს უყურებდა. ის ქვედა სართულზე წვენისთვის ჩავიდა და შენიშნა, რომ ის ადგილზე აღარ იდო. ამ დროს სასტუმრო ოთახიდან საეჭვო ხმაურიც მოესმა. ქალს შეეშინდა, როდესაც დივანზე უცხო მამაკაცი შენიშნა, თუმცა მოგვიანებით აღიარა, რომ მისი მძინარე პოზითაც კი შეიძლებოდა იმის მიხვედრა, რომ ის კარგი ყმაწვილი იყო, რომელსაც, უბრალოდ, სასმელი მეტი მოუვიდა. მან მეუღლეს დაურეკა და ის დაეთანხმა, რომ ერლი მის სახლში მიეყვანათ. მოგვიანებით მაკდეიდმა აღიარა, რომ იმ საღამოს შესასვლელი კარის დაკეტვა დაავიწყდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ტორპედო ფლეი ოფს დაშორდა

**ტორპედო (საქართველო)-ლუდოგორეცი (ბულგარეთი) 0:1**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

0:1 ვანდერსონი (45)

**ტორპედო:** კვასხვაძე, გეგეჭკორი, კობახიძე, აზაცკი, მარინი, კუხიანიძე (კუტალია 85), ცინცაძე, ჰლინკა, დოლიძე, ლაჩნი (კაპანაძე 61), ქიმაძე (დაფე 70)

**ლუდოგორეცი:** ბრაუნი, ნათანიელი, ნედიალკოვი, მოტი, სისინიო, კამპანიარო (გორალსკი 66), დიაკოვი, მარსელინიო (ტერზიევი 90), ვანდერსონი, კესერუ (ლუკოკუ 82), ვურალი

ზღაპარი დასრულდა, ტორპედო ლუდოგორეცთან უძლური აღმოჩნდა. ბულგარულმა კლუბმა მარტივად, კლასის ხარჯზე მოიგო. მთელი მატჩის განმავლობაში პაულო აუტორის გუნდი იდგა, მეტოქის შეცდომას ელოდებოდა და გამოიყენა კიდეც. მეტიც შეეძლოთ, მაგრამ ხან როინ კვასხვაძემ ითამაშა კარგად, ხანაც თავად ბულგარელები მიზანს ვერ ისწორებდნენ.



ლუდოგორეცი დიდი ძალებით, მწყობრად და აუღელვებლად იცავდა თავს. ყველა მისადგომი გადაკეტილი ჰქონდა. ქუთაისელთა ნახევარზე იშვიათად გადადიოდა, ისიც სულ რამდენიმე ფეხბურთელი, მაგრამ ხიფათს მაინც ქმნიდნენ, რასაც ვერ ვიტყვით იმერულ კლუბზე – ტორპედოს არაფერი საშიში მეტოქის კართან არ შეუქმნია.

ვერ იყვნენ იშტაზე გუნდის ლიდერები – გიორგი ქიმაძე და გიორგი კუხიანიძე. როგორც ჩანდა, მათი თამაში კარგად ჰქონდათ შესწავლილი. არც სხვები გამოირჩეოდნენ დიდი ფანტაზიით და რიონისპირელები ერთფეროვნად უტევდნენ.

ტორპედოელთა მაქსიმუმი ამ მატჩში ფრე იქნებოდა, რადგან სულელური ბურთი გავუშვით. როგორც სჩვევიათ ხოლმე ქართულ გუნდებს, ტაიმის ბოლოს. სანამ ტორპედო შესვენებაზე ფიქრობდა, ვანდერსონმა მარტივად გაიარა ტორპედოს დაცვა და გოლის გატანაც არ გასჭირვებია – 0:1.

წინ მეორე მატჩი, საიმედო არაფერი ჩანს... ერთია, ფეხბურთელებს ცოტა გამოცდილება დაუგროვდებათ. კარგი იქნება, თუ გამოცდილებას კლუბის ხელმძღვანელები მიიღებენ და იმ თანხას (მილიონ 120.000 ევრო), რომელსაც უეფა ჩაურიცხავს, მიზანმიმართულად გამოიყენებენ.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ასტროპროგნოზი

## 25 აგვისტოსთვის



**ვერძი** – წინააღმდეგობრივი და დაძაბული დღეა. ნებისმიერი წამოწყება საეჭვოა. ნურაფერს დაგეგმავთ. **კურო** – იფრთხილეთ ახლობლებთან ურთიერთობისას. კონფლიქტური დღეა. საყიდლებზე წასვლა სიამოვნებას მოგანიჭებთ. **ტყუპები** – ოჯახში პრობლემებია. იყავით თავშეკავებული და სკანდალს ასცდებით. **კირჩხიბი** – გამორიცხული არ არის პატარა სიძნელეები, რომელთა გადალახვაც არ გაგიჭირდებათ. რისკი არ გაამართლებს. **ლომი** – ახალი ნაცნობობა სამომავლოდ მნიშვნელოვან როლს ითამაშებს. ნუ იჯიუტებთ. **ქალწული** – გამოიჩინეთ სიმტკიცე, პრინციპულობა. შესაძლოა ფინანსური ზარალი. თავქარიანობა საქმეს გაგიფუჭებთ. **სასწორი** – დღის დევიზია დიდსულოვნება, გულმოწყალება. საღამოს გელით რომანტიკული შეხვედრა. **ღრიანკალი** – გარშემომყოფების იმპულსურობა თქვენზედაც აისახება. საკუთარი პრინციპების დაცვა ნებისმიერ სიტუაციაში აუცილებელია. **მშვილდოსანი** – მოულოდნელი ინფორმაციის გამო შესაძლოა გეგმები შეგეცვალოთ. ქალებს საინტერესო შეხვედრა გელით. **თხის რქა** – კონფლიქტური სიტუაციები დღეს უხვად იქნება, თუმცა მათგან თავის დაღწევას მოახერხებთ, თუ მკვახე გამონათქვამებს მოერიდებით. ჯანმრთელობას მიხედეთ. **მერწყული** – დღეს თქვენი ნებისმიერი ქმედება ფინანსებს უკავშირდება. ოჯახში ვითარება ოდნავ დაძაბულია. **თევზები** – აქტიურდება სასიცოცხლო ძალები. საშუალება გეძლევათ, საქმე შემოქმედებითად აკეთოთ და წარმატება მოიპოვოთ.

## 26 აგვისტოსთვის

**ვერძი** – ნებისმიერ სფეროში გიმართლებთ. ძალზე კეთილისმყოფელი, წარმატებული და მშვიდი დღეა. **კურო** – ცოდნის მისაღებად, თვალსაწიერის გასაფართოებლად ეს დღე შესაფერისია. სიტუაციას სრულად ფლობთ. **ტყუპები** – გეგმები მოულოდნელად გეცვლებათ. ვითარება სხვა მიმართულებას იძენს. გეზრდებათ შემოსავალი. **კირჩხიბი** – ნერვებს გაუფრთხილდით. წვრილმანებზე ნუ ინერვიულებთ. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას არ აჩქარდეთ. **ლომი** – შესანიშნავი დღეა რომანტიკული ურთიერთობებისათვის, პირადი ცხოვრების მოსაწყობად. უამრავ დადებით ემოციას იღებთ. **ქალწული** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. ოჯახში ურთიერთობა ჰარმონიულია. **სასწორი** – საქმიანი კონტრაქტების გასაფორმებლად ერთობ იღბლიანი დღეა. ფინანსურ მდგომარეობას არ უჩივით. **ღრიანკალი** – მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ მიიღეთ. თქვენი მოქმედების მართებულობაში ეჭვი ნუ შეგეპარებათ. **მშვილდოსანი** – ერიდეთ კამათს ოჯახის წევრებთან. სიმშვიდე და აუჩქარებლობა კონფლიქტის თავიდან არიდებაში დაგეხმარებათ. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი დღეა ქორწინებისათვის, ოჯახური ურთიერთობების მოსაგვარებლად. საპირისპირო სქესისაგან ყურადღებას გრძნობთ. **მერწყული** – გელით საინტერესო ადამიანებთან შეხვედრა, ნაყოფიერი დისკუსია. ოჯახში სრული სიმშვიდე და ჰარმონია სუფევს. **თევზები** – ოცნება გისრულდებათ. შესაძლებლობა გეძლევათ, ახალი საქმე დაიწყოთ და წარმატებასაც მიაღწიოთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. უმაღლესი მწვერვალი კავკასიონზე; 2. იტალიელი საოპერო მომღერალი მამაკაცი – ტენორი; 3. სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურე პირი; 4. მიწის ფართობის საზომი ერთეული ძველად საქართველოში; 5. ღვინის მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 8. აეროპორტი მადრიდში; 12. ტანსაცმლის მწარმოებელი ესპანური ფირმა; 13. კამათი მეცნიერული, ლიტერატურული ან პოლიტიკური საკითხების განხილვისას; 14. მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადი; 16. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი; 18. უნგრელი კომპოზიტორი; 20. მარადმწვანე ტროპიკული ხვიარა მცოცავი მცენარე.

**თარაზულად:** 6. უბანი ქუთაისში; 7. სამეცნიერო ხარისხის მინიჭება; 8. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ფინელი ავტომრბოლელი; 9. მოძრავი სცენა თეატრში; 10. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 11. საფრანგეთის ნაკრებისა და მადრიდის „ატლეტიკოს“ ფეხბურთელი; 15. დამწყები, სტაჟიორი, პრაქტიკანტი ადვოკატი ბრიტანეთში; 17. კურორტ იალტის ძველი სახელწოდება; 19. ფირმა „როლექსის“ დამფუძნებელი; 21. მუსლიმური რელიგიური დოგმების ფანატიკოსი მიმდევარი; 22. ძველებური სამგზავრო ჩანთა; 23. სამყარო, როგორც მთლიანობა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. დაიმი; 2. პლანკი; 4. თიბათვე; 5. ნატალი; 6. პლაგიატი; 7. ვალტორნა; 10. ალენი; 12. კასკადი; 13. მონტაჟი; 16. ღილინი; 17. ბოცმანი; 18. ვაზარი; 19. ბელუჩი; 21. სელტა.

**თარაზულად**: 3. კამათელი; 8. ფლეგმა; 9. ბონისტიკა; 11. ფლინტი; 12. კალევი; 14. ტისენი; 15. პროტეინი; 20. დებოში; 22. კატორღა; 23. ჯეიმი; 24. კლაკიორი; 25. შუნი; 26. იანუსი; 27. დიქტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. მარტელი; 2. დეფიციტი; 3. იამოტო; 4. სირჩა; 5. ნეგროიდი; 8. მონიუშკო; 12. მუხა; 13. დიაგრამა; 14. ოკენცე; 16. მელიავა; 18. სარმა; 20. იედო.

**თარაზულად**: 6. ჯაფარიძე; 7. ახალციხე; 8. მარინა; 9. ზესხო; 10. დიაგნოზი; 11. პლომბირი; 15. პინაკოთეკა; 17. საირმე; 19. ცოლიკაური; 21. ბოკვერი; 22. ჩატურანგა; 23. ჰოოპუნა.

# ხატია ბუნიათიშვილი თბილისში დაუკრავს

მსოფლიოში აღიარებული ქართველი პიანისტი ხატია ბუნიათიშვილი თბილისში კონცერტს გამართავს.



15 სექტემბერს ფესტივალ „შემოდგომის თბილისის" ფარგლებში დიდი ხნის პაუზის შემდეგ სცენაზე ერთმანეთს შეხვდებიან მსოფლიო ვარსკვლავი ხატია ბუნიათიშვილი და თბილისის სიმფონიური ორკესტრი ვახტანგ კახიძის დირიჟორობით.

მსოფლიოს მრავალი პრესტიჟული საკონცერტო დარბაზის ხშირი სტუმარი, სახელგანთქმული სიმფონიური ორკესტრებისა და დირიჟორების სასცენო პარტნიორი, სონის ექსკლუზიური არტისტი ხატია ბუნიათიშვილი მსმენელის წინაშე განსაკუთრებული პროგრამით წარდგება.

პიანისტი ორკესტრთან ერთად შეასრულებს სერგეი რახმანინოვის კონცერტს ფორტეპიანოსა და ორკესტრისთვის №2, ხოლო ვახტანგ კახიძე შეასრულებს მოდესტ მუსორგსის საფორტეპიანო შედევრის „სურათები გამოფენიდან" საორკესტრო ვარიანტს, გაორკესტრებულს მორის რაველის მიერ.

# „დედე" ოსკარზე ოსკაროსანი კომპოზიტორის რჩევით მონაწილეობს




ოსკაროსანმა კომპოზიტორმა, ამერიკული, ევროპული და ბრიტანული აკადემიის წევრმა იან კაჩმარეკმა ქართული ფილმის „დედეს" შემქმნელებს ურჩია, ფილმი ოსკარზე წარედგინათ. ინფორმაცია და კომპოზიტორის წერილი ფილმის ოფიციალურმა გვერდმა გამოაქვეყნა.

კაჩმარეკს ოსკარი გადაეცა მხატვრული ფილმისთვის „ფაინდინგ ნევერლენდ", რომელშიც მთავარ როლებს ჯონი დეპი, ქეით უინსლეტი და ჰოლივუდის სხვა ცნობილი ვარსკვლავები ასრულებენ.

„დედეს" ასევე მხარს უჭერს ევროპული კინოაკადემიის ერთ-ერთი თავმჯდომარე. რეკომენდაციები გამოგვიგზავნეს და მხარდაჭერა გამოთქვეს ამერიკელმა, ესპანელმა, ჰოლანდიელმა და ბერძენმა დისტრიბუტორებმა", — წერია ფილმის ოფიციალურ გვერდზე.

ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქებში ფილმის კინოდისტრიბუციაში ჩაშვება დაწყებულია. სექტემბრიდან ჩიგაკოს შტატის, ხოლო ნოემბრიდან ნიუ იორკის, ვაშინგტონისა და ლოს-ანჯელესის კინოთეატრებში გამოვა. ნოემბრის მასშტაბურ პრემიერებს ფილმის რეჟისორი და მსახიობები დაესწრებიან.

ფილმი 50-ზე მეტ კინოფესტივალზეა ნაჩვენები და 16 საერთაშორისო პრიზი აქვს მოპოვებული, მათ შორის საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი პრიზი, იუნესკოს ჯილდო გადაეცა აზიის ოსკარად წოდებულ დაჯილდოებაზე, როგორც კულტურული მრავალფეროვნება.

ცოტა ხნის წინ ოსკარზე წარდგენის კანდიდატი ქართული ფილმების სია გამოქვეყნდა. ხუთ ფილმს შორისაა მარიამ ხაჭვანის „დედეც", თუმცა ჯერ არ არის ცნობილი, რომელი ფილმი იქნება წარდგენილი ოსკარზე. ოსკარზე წარსადგენ ქართულ ფილმს სპეციალური კომისია აგვისტოს ბოლოს დაასახელებს.

# „ღამის სერენადები" ბათუმსა და თბილისში გაიმართება

საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „ღამის სერენადები" მრავალფეროვანი პროგრამით 26 აგვისტოდან 4 სექტემბრის ჩათვლით ბათუმსა და თბილისში გაიმართება.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში გაიმართა პრესკონფერენცია ბათუმი-თბილისის საერთაშორისო ფესტივალ „ღამის სერენადებთან" დაკავშირებით.

პრესკონფერენციას უძღვებოდნენ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ ბატიაშვილი, ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი გიორგი ისაკაძე, ფესტივალის გენერალური დირექტორი ნინა ცაგარელი, დირიჟორი ვახტანგ მაჭავარიანი, მევიოლინე გია იაშვილი და ფესტივალის გენერალური სპონსორი, კომპანია თელასის წარმომადგენელი ვალერი ფანცულაია.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით 26 აგვისტოდან 4 სექტემბრის ჩათვლით საერთაშორისო ფესტივალი „ღამის სერენადები" უკვე მეათედ გაიმართება.

წლევანდელ საიუბილეო ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოში ცნობილი სოლისტები და დირიჟორები: პიანისტი ალექსანდრე კორსანტია, დირიჟორი ვახტანგ მაჭავარიანი, მევიოლინე გია იაშვილი, მევიოლინე გეზა ჰოსზუ ლეგოცკი, გიტარისტი სოფია ბოროსი, ბანდონეონისტი მარიო სტეფანო პიეტროდარჩი, კომპოზიტორი იოსებ ბარდანაშვილი.

**ნინა ცაგარელი, „ღამის სერენადების" დირექტორი:**

— ლიანა ისაკაძის ფესტივალი 1983 წელს დაარსდა აფხაზეთში, ბიჭვინთაში. შემდეგ, სამწუხარო მიზეზების გამო, წყვეტა იყო, მერე აღდგა ჯერ ბორჯომში და ეწოდა „ხელოვნების ზეიმი", 2002 წელს აღდგა ბათუმში „ღამის




სერენადების" სახელით. რამდენიმე წლის წინ, თბილისის საკრებულოს ინიციატივით, თბილისშიც გაიმართა კონცერტები.

წელს, როგორც იცით, სრულიად გამორჩეული პროგრამა გვაქვს, სოსო ბარდანაშვილს ვულოცავთ 70 წლის იუბილეს, შესრულდება უამრავი საინტერესო ნაწარმოები. შეიძლება ითქვას, რომ ყველა გემოვნების ადამიანი იპოვის მისთვის სასურველ მუსიკალურ საღამოს „ღამის სერენადების" მიმდინარეობისას.

**გიორგი ისაკაძე, „ღამის სერენადების" სამხატვრო ხელმძღვანელი:**

— წელს საიუბილეო ფესტივალია და ჟანრულად ძალიან მრავალფეროვანი, როგორც ყოველთვის. წარვდგებით ძალიან დრამატული პროგრამით: შოსტაკოვიჩი, ბარდანაშვილი, უსტვოლსკაია, მაგრამ აგრეთვე რომანტიკულ ხიბლსაც შევძენთ ტანგოს მძაფრი ლირიკით. ლიანა ყოველთვის მიმართავდა სხვადასხვა ჟანრს და წლევანდელი ფესტივალიც არ იქნება გამონაკლისი, მაყურებელი ძალიან კმაყოფილი დარჩება.

საინტერესო იდეაა, რომ მოვიწვიეთ საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი მუსიკოსები. კიდევ ერთხელ დაუბრუნდებიან საქართველოს და მათ შორისაც გაძლიერდება კონტაქტები. ფესტივალის ძირითად საფუძველს წარმოადგენენ ლიანა ისაკაძის ძალიან ახლო მეგობრები, მათ შორის ვახტანგ მაჭავარიანი, გია იაშვილი, მევიოლინეების დიდი დინასტიის წარმომადგენელი.

**ვახტანგ მაჭავარიანი, დირიჟორი:**

— მუსიკის მოყვარულები ამ ფესტივალს, პირველ რიგში, უნდა დაესწრონ რეპერტუარის გამო. მიმაჩნია, რომ მოცარტის „ღამის პატარა სერენადა" ბევრმა იცის, მაგრამ ისეთი შედევრია, ნებისმიერ მსმენელს გაახარებს მისი მოსმენა. ვფიქრობ, ის, რაც არ მოუსმენია ქართველ მსმენელს, დვორჟაკის „სერენადაა", ასევე, ძალიან საინტერესო ნაწარმოები შექმნა სოსო ბარდანაშვილმა, ასევე „სერენადის" სახელით, სუპერთანამედროვე და რთული, რაც შემხვედრია. სოსო ჩვენი წიაღიდან წარმოიშვა და ძალიან წარმატებულია როგორც ისრაელში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. შოსტაკოვიჩის კამერული სიმფონია უდიდესი შედევრია და, თუ არ ვცდები, აქ მხოლოდ ერთხელ არის შესრულებული რამდენიმე წლის წინ რუსთაველის თეატრში, ასე რომ, არც ამ ნაწარმოების მოსმენითაა განებივრებული ჩვენი საზოგადოება. რასაკვირველია, გია იაშვილის პროექტი „ოპერა ფანტაზია" აუცილებლად უნდა აღინიშნოს. ჩემი უახლოესი ნათესავი საშა კორსანტია ასრულებს გალინა უსტვოლსკაიას კონცერტს. ლოგიკურია, რომ შოსტაკოვიჩის კონცერტის შემდეგ შესრულდება უსტვოლსკაიას კონცერტი.

**გია იაშვილი, მევიოლინე:**

— ბედნიერი ვარ, რომ მომეცა თავისუფლება, ფესტივალის ფარგლებში ამერჩია, რისი დაკვრა მინდოდა. ტანგო ძალიან მომწონს და სადაც შემიძლია, ვუკრავ ხოლმე. ახლა მსურს, ფართო მსმენელს გავაცნო ჩემი საყვარელი მუსიკა. ერთხელ მაქვს დაკრული მარიო სტეფანო პიეტროდარჩისთან ერთად. გიტარისტ სოფია ბოროსთან ერთად კი ვსწავლობდი და შესანიშნავ მუსიკოსია. ისიც მონაწილეობს ამ საღამოში. მათ ერთად არასდროს დაუკრავთ და არც ბევრი რეპეტიცია გვექნება, ასე რომ, იმპროვიზაციაც იქნება. ჩვენს ღონისძიებას შემოუერთდებიან ტანგოს მოცეკვავეებიც, ასე რომ, საინტერესო საღამოს გპირდებით.

# წყალტუბოში უნიკალური შენობა ნადგურდება



წყალტუბოში უნიკალური შენობა ნადგურდება, რომელსაც არც ძეგლის სტატუსი აქვს და არც რეაბილიტაციის მოლოდინშია.

დანგრეული და გაპარტახებული მდგომარეობის მიუხედავად, შენობას თავისი სილამაზე მაინც შენარჩუნებული აქვს.

შენობის მძიმე მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია დავით გედენიძემ გაავრცელა:

— ეს საქართველოა და ეს წყალტუბოშია. ჩვენ სხვა ქვეყნების სიმდიდრეები გვაკვირვებს, როცა ჩვენი ასეთ სავალალო მდგომარეობაშია.

სირცხვილი, საქართველოს მთავრობა! ბევრ ასეთ სილამაზეს ინახავს და იტევს ჩემი ქალაქი — წყალტუბო.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ქალიშვილმა დედას დაპატიმრების იმიტაცია მოუწყო

ამერიკის მენის შტატის ქალაქ ოგასტას მცხოვრებმა საკუთარი 93 წლის დედის დაპატიმრებას გაუკეთა ორგანიზება, რათა ამით მისთვის დაბადების დღეზე სიურპრიზი მოეწყო.

მოხუც ქალბატონს უყვარს გადაცემა „პოლიციელების" ყურება და შვილს უთხრა, რომ სურდა გაეგო, თუ როგორია



დაპატიმრება და პოლიციის მანქანის უკანა სავარძელზე აღმოჩენა. ქალს დედის ეს ნათქვამი დედის დაბადების დღის წინ გაახსენდა და გადაწყვიტა, მას საკუთარ კითხვებზე პასუხების მიღებაში დახმარებოდა.

მან ადგილობრივი პოლიციელები დაითანხმა, მათთან მისულიყვნენ და მისი მშობლის დაპატიმრება გაეთამაშებინათ. ქალი ჯერ პოლიციის მანქანის უკანა სავარძელზე მოათავსეს, შემდეგ უფლება მისცეს, წინა სავარძელზე დამჯდარიყო და სირენა ჩაერთო, ბოლოს კი პოლიციის დამწყები ოფიცრის ნიშანი გადასცეს.

შვილის თქმით, დედამისი კმაყოფილი დარჩა მიღებული შთაბეჭდილებებისგან, ხშირად საუბრობს საკუთარ „დაპატიმრებაზე" და პოლიციელებთან გადაღებულ ფოტოსურათებს ათვალიერებს.

**კალეიდოსკოპი**

## ავსტრალიელები ნიანგებით სავსე მდინარეში ადამიანების გადარჩენისთვის დააჯილდოვეს



ავსტრალიის გენერალ-გუბერნატორმა სამი მამაკაცი, რომლებიც ნიანგებით სავსე მდინარეში ადამიანების გადასარჩენად გადახტნენ, გამოჩენილი სიმამაცისთვის დააჯილდოვა.

2013 წლის ოქტომბერში ტროი გლოვერი, ფილიპ ებრამი და მაიკლ ჯერამი ავსტრალიის ჩრდილოეთ ნაწილში ოჯახებთან და მეგობრებთან ერთად მოგზაურობდნენ. ორი მცურავი სახლი, რომელშიც 12 ადამიანი იმყოფებოდა, მდინარე მერიზე მიცურავდა, რომელიც მსოფლიოში ნიანგების ერთ-ერთ ყველაზე დიდი პოპულაციის სამკვიდროდ ითვლება.

ძლიერმა ქარმა ერთ-ერთი ნავი, რომელშიც გლოვერის მეუღლე და კიდევ რამდენიმე ადამიანი იმყოფებოდა, გადააბრუნა. მართალია, ნავის გარშემო უამრავი რეპტილია დაცურავდა, ის დაუყოვნებლივ გადაეშვა მდინარეში. მას უკან მიჰყვნენ ებრამი და ჯერამი, რომლებიც იქვე ახლოს თევზაობდნენ.

გლოვერს სამჯერ მოუხდა ჩაყვინთვა, სანამ მეუღლეს ამოიყვანდა. ერთობლივი ძალისხმევით მათ ქალის, სახელად ტონი ფორდერის გარდა, რომელიც დინებამ გაიტაცა, ყველას გადარჩენა მოახერხეს.

ავსტრალიის გენერალ-გუბერნატორმა პიტერ კოსგროუვმა ფილიპ ებრამი და მაიკლ ჯერამი დააჯილდოვა მედლით მამაცობისთვის, რომელიც გადაეცემათ ადამიანებს, რომლებიც საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად სხვებს ეხმარებიან გადარჩენაში. ტროი გლოვერს კი მადლობა გამოუცხადეს.

## ქურდმა პროდუქტების მაღაზიაში გვირაბით შეაღწია

ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ ლა-ვერნში ქურდმა პროდუქტების მაღაზიაში გვირაბის დახმარებით შეაღწია.

დამნაშავემ ქურდობა ღამით ჩაიდინა, როდესაც მაღაზიაში არავინ იმყოფებოდა. სათვალთვალო კამერამ გადაიღო, თუ როგორ გადმოცვივდა გამაგრილებელი სასმელების ყუთები და პატარა ხვრელიდან თეთრნილბიანი მამაკაცი ამოძვრა.

ქურდი რამდენიმე წუთის განმავლობაში დახოხავდა საქონლის თაროებს შორის და კარის გაღებას ცდილობდა, ხოლო როდესაც სიგნალიზაცია ამუშავდა, წამოხტა, თავის ხვრელთან მიირბინა და მაღაზია იმავე გზით დატოვა, რომლითაც შიგნით შეაღწია.




რამდენიმე წუთში შემთხვევის ადგილზე პოლიციელები მივიდნენ. მათ ჯერ ხვრელი აღმოაჩინეს, შემდეგ კი თავად ქურდსაც მიაგნეს, რომელიც შორიახლოს, რკინიგზის სადგურის მახლობლად, ბუჩქებში იმალებოდა. მას თან აღმოაჩნდა ყველა შესაძლო ინსტრუმენტი, რომლებიც დანაშაულის ჩადენაში გამოადგებოდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**25 აგვისტოსთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.5862

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3336

ევრო — 2.9933

100 რუსული რუბლი — 3.7934

## ამინდის პროგნოზი 25 აგვისტოსთვის




## მამაცმა მყვინთავმა ზვიგენი გადაარჩინა

ავსტრალიაში მყვინთავმა ზვიგენს პირიდან ამოაცალა ბადე და სიკვდილს გადაარჩინა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა პორტალმა გამოაქვეყნა.



ყვინთვის ინსტრუქტორი ქვეყნის აღმოსავლეთ სანაპიროზე შეგირდებს პრაქტიკულ მეცადინეობას უტარებდა, როდესაც ქვიშის ზვიგენი შენიშნა, რომელსაც პირში პლასტიკატის ბადის ნაწილი ჰქონდა გაჩხერილი. ის მტაცებელთან მიცურდა და ფრთხილად ამოაცალა პირიდან ბადე. მოგვიანებით მან განმარტა, ეს რომ არ გაეკეთებინა, თევზს ნელი და მტკივნეული სიკვდილი ელოდა.

ინციდენტის შედეგად არც მყვინთავი და არც ზვიგენი არ დაშავებულან.

## ტურისტმა თავდამსხმელი დათვი შეაშინა



ესპანეთის ვალ-დ'არანის რაიონში მურა დათვი თავს დაესხა ფრანგ ტურისტს, თუმცა მან მტაცებლის მოგერიება მოახერხა.

22 წლის ლიუკ მერლე, საფრანგეთის ქალაქ ნანტიდან, ესპანეთის პირენეის მთებში მამასთან და ძმასთან ერთად მოგზაურობდა. დათვს ის იმ დროს შეეჩეხა, როდესაც კლდეზე მარტო ადიოდა.

მისმა თანამგზავრებმა პირველებმა შენიშნეს, რომ ლიუკი ბელებიანი დედა დათვისკენ მიდიოდა. ისინი შეეცადნენ, ახალგაზრდა გაეფრთხილებინათ, მაგრამ უკვე გვიან იყო, ის მტაცებელს პირისპირ შეეჩეხა. ცხოველმა ჩათვალა, რომ ადამიანი მის ბელებს ემუქრებოდა და მისკენ გაქანდა.

მერლე გაიქცა, მაგრამ დათვი თავს არ ანებებდა.

– ვგრძნობდი, რომ ფეხები მეკეცებოდა, – იხსენებს ახალგაზრდა. როდესაც მიხვდა, რომ მტაცებელს ვერ გაექცეოდა, ლიუკი გაჩერდა, შეტრიალდა და ცხოველის შესაშინებლად ხელები მაღლა ასწია.

– ის ორჯერ გადმოხტა ჩემკენ, მესამედ კი პირი ფართოდ გააღო, – ამტკიცებს მერლე, – ამ დროს მხნეობა მოვიკრიბე და რაც შემეძლო, დავიღრიალე, მინდოდა, დათვის თვის მეჩვენებინა, რომ არ მეშინოდა. მან მართლაც უკან დაიხია და გამშორდა.

ამის შემდეგ ახალგაზრდამ ბუჩქებს შეაფარა თავი, ხოლო მამამისმა სამაშველო სამსახურს შეატყობინა. ტურისტები მაშველებმა სამი შვეულმფრენის დახმარებით გამოიყვანეს.

## ყველაზე დიდმკერდიანი ბრიტანელი მკერდის გადიდებას აპირებს

ბრიტანელი მოდელი ამტკიცებს, რომ მას ქვეყანაში ყველაზე დიდი მკერდი აქვს და მის კიდევ უფრო გადიდებას აპირებს, ექიმები კი საშიშროების თაობაზე აფრთხილებენ.



ლონდონელმა ნიკი ვალენტინა როუზმა აღიარა, რომ პირველი პლასტიკური ოპერაცია ხუთი წლის წინ გაიკეთა, როდესაც 21 წლის იყო. თავდაპირველად მას ორი ზომის მკერდი ჰქონდა, მაგრამ, მას შემდეგ, რაც რამდენჯერმე ჩაიდგა იმპლატანტები, მისი მკერდი ცხრა ზომამდე გაიზარდა. სულ როუზმა მკერდის გადიდებაზე 40 ათასი ფუნტი სტერლინგი დახარჯა.

ამის გარდა, გოგონამ სამჯერ გაიკეთა ცხვირის ფორმის კორექციის ოპერაცია, ვინაიდან მისი ცხვირის გამო სკოლაში დასცინოდნენ, ასევე 15-ჯერ გაიდიდა ტუჩები.

როუზმა აღიარა, რომ მკერდის დიდი ფორმები მას გარკვეულ პრობლემებს უქმნის, კერძოდ, მანქანის ტარების, იღლიების გაპარსვისა და ძილის დროს.

ამ ყოველივეს მიუხედავად, მოდელს სურს, ახალი იმპლატანტები ჩაიყენოს და მკერდი 3250 კუბური სანტიმეტრიდან 5000-მდე გაიზარდოს. ის ასევე დუნდულების გადიდებასა და რამდენიმე ნეკნის ამოკვეთას აპირებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– მორჩა, მეტად აღარასოდეს დაველოდები მღელვარედ მისი ნაბიჯების ხმას და კარზე ზარის დარეკვას საღამოს შვიდ საათზე!

– ღმერთო ჩემო, რა მოხდა?

– ის საღამოობით ჩემ გვერდით აღარასოდეს დაჯდება და აღარ მომართავს ნაზი, ალერსიანი სიტყვებით, როგორც ამას ამ ორი წლის მანძილზე აკეთებდა. ამ საღამოს მის ყველა სასიყვარულო წერილს დავწვავ!

– უნდა დაშორდე?

– არა, ცოლად მივყვები!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– გუშინ ფეხბურთს ვუყურებდი და მსაჯმა ფეხბურთელს ყვითელი ბარათის მაგივრად პრეზერვატივი უჩვენა.

– მერე?

– რა მერე? მატჩის ბოლომდე თამაშის წესები აღარავის დაურღვევია.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ხუთვარსკვლავიანი კარავი ვიყიდე.

– ვაა! და როგორია?

– ჭერში ხუთი ნახვრეტი აქვს ვარსკვლავებისთვის.

●●●

ეჭვიანმა ქმარმა ტაქსი დაიქირავა და ცოლს ჩუმად უკან გაჰყვა. როდესაც ქალი მსუბუქი ყოფაქცევის ქალების სახლში შევიდა, ქმარი ტაქსის მძღოლს ეკითხება:

– გინდა კიდევ დამატებით ფული გამოიმუშაო?

– მინდა.

– აჰა შენ 100 ლარი, ის კახპა იქიდან გამოათრიე და აქ მომიყვანე.

მძღოლი შენობაში შევიდა, ცოტა ხანში ზურგზე მოკიდებული ქალით გამოვიდა, მანქანაში შეაგდო და ეუბნება:

– აჰა, ერთი ეს დამიჭირე!

კაცი ეუბნება:

– მაგრამ, ეს ჩემი ცოლი არ არის!

– ჩემი ცოლია და ახლა შენსასაც გამოგითრევ!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


ბოაი

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით




## იაგო ასპასი რეალის ფეხბურთელი გახდება



მადრიდის რეალი სელტას ფორვარდის იაგო ასპასის ყიდვას აპირებს და სავარაუდოდ ეს ტრანსფერი რამდენიმე დღეში ოფიციალური გახდება.

სპასში სამეფო კლუბი 40 მილიონ ევროს იხდის და სელტა ამ თანხაზე ყაბულს არის.

ასპასი ესპანეთში ერთ-ერთი გამორჩეული ფორვარდია და ის ესპანეთის ნაკრების წევრიც არის.

სელტამდე იაგო ასპასი სევილიაში თამაშობდა, მანამდე კი მან ლივერპულშიც სცადა ბედი, მაგრამ ინგლისში კარიერა ვერააწყო და ესპანეთში დაბრუნება ამჯობინა.

## კაკა: „კილიან მბაპე ოქროს ბურთს იმსახურებს“



ბრაზილიური ფეხბურთის ლეგენდამ კაკამ ოქროს ბურთის თაობაზე კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ ეს ჯილდო კილიან მბაპემ უნდა მოიგოს.

კაკას აზრით, სწორედ მბაპე იმსახურებს ყველაზე მეტად ამ ჯილდოს:

– მბაპემ შესანიშნავი მსოფლიოს ჩემპიონატი ჩაატარა და, ჩემი აზრით, ის იმსახურებს ოქროს ბურთს, მაგრამ ამ ჯილდოს სავარაუდოდ ისევ კრიშტიანო რონალდო მოიგებს. დარწმუნებული ვარ, მბაპე მომავალში არაერთხელ გახდება ოქროს ბურთის მფლობელი.

რიკარდო კაკა ბოლო ფეხბურთელია, რომელმაც, რონალდოს და მესის გარდა, ოქროს ბურთი მოიგო.

## ალეგრი: „თუ საჭირო გახდა, რონალდო სკამზეც დაჯდება“



იუვენტუსის მთავარმა მწვრთნელმა მასიმილიანო ალეგრიმ კრიშტიანო რონალდოზე ისაუბრა და თქვა რომ იუვენტუსის ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული არავის აქვს.

– რონალდო დიდი ფეხბურთელია და, ბუნებრივია, რომ ის პრივილეგიებით ისარგებლებს, მაგრამ იუვენტუსში გარანტირებული ადგილი არავისთვის არის და თუ საჭირო გახდა, რონალდო სკამზეც დაჯდება, – განაცხადა ალეგრიმ.

კრიშტიანო რონალდომ იუვენტუსში ჯერჯერობით მხოლოდ ერთი შეხვედრა ჩაატარა და კიევოსთან მატჩში გოლის გატანა ვერ მოახერხა.

## უგო ლორისი მანქანას ნასვამი მართავდა



ტოტენჰემის მეკარე უგო ლორისი ლონდონში დააკავეს, რადგან ის მანქანას არაფხიზელ მდგომარეობაში მართავდა.

ლორისი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს, თუმცა 11 სექტემბერს მას სასამართლოს წინაშე მოუწევს წარდგენა და, სავარაუდოდ, ლორისს ფულადი ჯარიმის გადახდა დაეკისრება. ტოტენჰემს და თვითონ ლორისს ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებიათ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. იაპონიის იმპერატორთა ტიტული; 2. პოლიციელთა მეტსახელი ინგლისში; 3. გადაჭარბებული სიყვარული ყველაფერი ფრანგულისა; 4. მთავარი მოედანი მილანში; 5. ხელოვნური აბრეშუმი; 8. ნიჩბოსანთა სპორტული ნავის მოძრავი სკამი; 9. ქალაქი იმერეთში; 12. ქალაქი იტალიაში, სადაც ყოველწლიურად იმართება საოპერო მომღერალთა საერთაშორისო კონკურსი; 14. ელექტროძრავის მბრუნავი ნაწილი; 16. გრძელყელიანი გოგრა, რომლისგანაც ამზადებენ ქვევრიდან ღვინის ამოსაღებ ჭურჭელს.

**თარაზულად:** 1. ჯუნა მიქატაძის ქანდაკება თბილისში; 6. ქართული ხალხური ცეკვა; 7. მარმარილოს საბადო ტყიბულის რაიონში; 9. ზღვისპირა კურორტი პოლონეთში; 10. მაღალხარისხოვანი, წვრილმარცვლოვანი ყავის ჯიში; 11. ქიმიური ელემენტი, რბილი ტუტოვანი ლითონი; 13. ესპანური სპორტული გაზეთი; 15. ოპერა „კარმენის“ პერსონაჟი; 17. გემის გამაწონასწორებელი ტვირთი; 18. კომპანია „მაიკროსოფტის“ მფლობელი; 19. ბუნებაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მინერალი; 20. პორტუგალიის ნაკრებისა და „იუვენტუსის“ ფეხბურთელი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*